ლელო

№ 60

(11106)

2 - 5 აგვისტო, 1997 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ფეხბურთელ გიორგი ქინქლაძის გამო «დინამო» – «მრეტების» კონფლიქტმა მართლაც ხმაურიანი. თანაც საერთაშორისო მნიშვნელობის გაგრძელება ჰპოვა. გაზეთის ეს ნომერი მზად იყო დასაბეჭდად, როცა გერმანიიდან ვრცელი ფაქსი მოვიდა. როგორც ჩანს, მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. გერმანიიდან მიღებული ფაქსით, იურიდიული შეფასებების გარდა, მთელი რიგი ახალი გარემოებები ირკვევა. რაც, ჯერ კიდევ არავინ იცის, რა როლს ითამაშებს ამ კონფლიქტში.

რედაქციისაგან. „ლელოს" მკითხველებს ბოდიშს ვუხდით, ვინაიდან ამ ვრცელი ფაქსის ოპერატიულად გამოქვეყნებასთან დაკავშირებით გაზეთის ამ ნომრისთვის მომზადებული მთელი რიგი მასალები გადაიდო.

„ლელოს" პუბლიკაციების კვალდაკვალ

სიმართლე ქართული ფეხბურთის გულშემატკივარს

გულშემატკივარი: ნებისმიერ საკითხზე ნებისმიერი კუთხით მსჯელობა შესაბამის პოსტულატს მოითხოვს. მით უმეტეს, თუ საკითხს სამართლებრივი კუთხით განვიხილავთ.

ვისი პრეროგატივაა სფფ-ს წევრ კლუბებს შორის გაფორმებული ტრანსფერის კონტრაქტი და რა სამართლებრივი ბაზისის საფუძველზე რეგულირდება იგი?

ფრიდრიხ ბოიმელი: ამ კითხვებზე სწორი პასუხების გაცემის მიზნით, თავიდანვე უნდა შევთანხმდეთ: თუ საქართველოს, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატები და თასების გათამაშებები გვსურს. მაშინ სფფ – ფიფა-ს და სფფ – უეფა – ფიფა-ს ინსტიტუტები უნდა ვცნოთ, რაც ნიშნავს: უნდა ვცნოთ ფიფა-ს სტატუსი და ფიფა-ს მიერ მინიჭებული სტატუსები და უნდა დავიცვათ შევასრულოთ ამ სტატუსების საფუძველზე მიღებული რეგლამენტები, გადაწყვეტილებები. ფეხბურთი მთელს მსოფლიოში ფიფა-ს პრეროგატივის სფეროა და აქ სხვა ალტერნატივა არ არსებობს.

გულშემატკივარი: ეს ხომ ყველასთვის ცნობილი ფაქტია?!

ფრიდრიხ ბოიმელი: მაგრამ საკითხის ირგვლივ პრესაში გამოქვეყნებული მასალები რომ სხვას მოწმობს? უმი ცოდნა რას გვარგებს?!

იურისტი ხუციშვილი: „ალბათ, ირონიულ დაცინვად უნდა მივიჩნიოთ (სფფ-ს მიერ გამოტანილი) სასამართლოს ფუნქციის და განჩინების ტოლფასი დადგენილება" (ლელო, №55).

ფრიდრიხ ბოიმელი: სფფ-ს 2.01.97 წ. გადაწყვეტილება რომ მართლაც „სასამართლოს ფუნქციის და განჩინების ტოლფასია და არა ირონიული დაცინვა", თქვენ ამაში ახლავე დარწმუნდებით.

ფეხბურთელთა სტატუსის და ტრანსფერის საკითხებიც ფიფა-ს პრეროგატივაა. ეროვნული ფედერაცია, თავის შესაბამის სავალდებულო რეგლამენტში, ვალდებულია დაიცვას მოთამაშეთა სტატუსის და ტრანსფერის შესახებ ფიფა-ს რეგლამენტის ყველა ძირითადი პრინციპი (წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ფიფა-ს სამართლებრივი ბაზისის და, შესაბამისად, თავად ფიფა-ს გარეთ აღმოჩნდება).

ფიფა-ს რეგლამენტის მიხედვით, საერთაშორისო ტრანსფერი ფიფა-ს პრეროგატივაა, ხოლო ეროვნული ტრანსფერი – ეროვნული ფედერაციის.

ეროვნული ფედერაციის წევრი კლუბი ვალდებულია დაიცვას: ეროვნული ტრანსფერისას – ეროვნული ფედერაციის რეგლამენტი, საერთაშორისო ტრანსფერისას – ფიფა-ს რეგლამენტი.

ფეხბურთელ გიორგი ქინქლაძის ტრანსფერიდან, ფკ მრეტები თბილისი ➔ ფკ დინამო თბილისი ეროვნული ტრანსფერია, ხოლო ფკ დინამო თბილისი ➔ ფკ მანჩესტერ სითი – საერთაშორისო ტრანსფერი.

სფფ, თავისი სტატუსის გამო, ფიფა-ს და სფფ-ს შესაბამისი რეგლამენტების მიხედვით, უფლებამოსილი და ვალდებულია დაწესებულ ვადაში განიხილოს, ტრანსფერის კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობის გამო, წევრი კლუბის მიერ დაყენებული საკითხი და მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება. ეს ხომ მხოლოდ ფიფა-სფფ-ს პრეროგატივის სფეროა.

ასე რომ, სფფ-ს 2.01.97 წ. გადაწყვეტილება სწორედ რომ „სასამართლოს ფუნქციის და განჩინების ტოლფასია".

გულშემატკივარი: მაგრამ ფკ დინამო თბილისი თუ არ შეასრულებს ამ გადაწყვეტილებას?

ფრიდრიხ ბოიმელი: ასეთ შემთხვევაში სფფ, თავისი სტატუსით, უფლებამოსილი და ვალდებულია ფკ დინამო თბილისის წინააღმდეგ მიმართოს იძულების ზომებს.

გულშემატკივარი: ყველასთვის ცნობილია, რომ სფფ-ს ასეთი ზომებისთვის არ მიუმართავს.

ფრიდრიხ ბოიმელი: ასეთ შემთხვევაში, დაზარალებული კლუბი უფლებამოსილია სფფ-ს წინააღმდეგ დააყენოს საკითხი ფიფა-ში. ფკ მრეტები თბილისი და მისი დამფუძნებლები სწორედ ასე მოიქცნენ.

გულშემატკივარი: რა გაგრძელება შეიძლება ჰქონდეს ყოველივე ამას?

ფრიდრიხ ბოიმელი: ჩვენის აზრით – ძალიან ცუდი. თქვენ დუმხართ, ხოლო საგაზეთო პუბლიკაციების ავტორები, ძირითადად, სფფ - ფკ მრეტები თბილისზე ზეწოლის მცდელობის გზით, ფკ დინამო თბილისის გამართლებას და სფფ-ფიფა-ს ინსტიტუტის სტატუსების (რეგლამენტების) დირექტივების დარღვევას ცდილობენ. შედეგი, მართლაც რომ სავალალო შეიძლება აღმოჩნდეს ქართული ფეხბურთისათვის.

გულშემატკივარი?!

ფრიდრიხ ბოიმელი: ასე რომ, გულშემატკივარზე გათვლილი პროვოკაციული განცხადებები და სათაურები „დინამო არასოდეს დაიშლება" და ა.შ, შესაძლოა, სრულიად სხვა განცხადებებით და სათაურებით შეიცვალოს და სწორედ ამაზე დაფიქრება მართებს ქართული ფეხბურთის გულშემატკივარს. სწორედ ამას გულისხმობდა სფფ-ს ვიცეპრეზიდენტი ბატონი ნოდარ ანდრიაძე თავის ინტერვიუში:

„ჩვენ არ გვაქვს უფლება, ქართული ფეხბურთი ერთი გუნდის ინტერესებს ვანაცვალოთ" (სარბიელი, 21.06.97)

მაგრამ ქართული პრესიდან არ ჩანს, ამ სიტყვების მნიშვნელობა, სფფ-ს გარდა, ვინმეს ესმოდეს ან აღელვებდეს. „მხოლოდ დინამოზე" ანუ წარსულზე დარდი სჭარბობს „საერთოდ კლუბებზე" და „ეროვნულ ნაკრებზე" ანუ მომავალზე ფიქრს, წეს-კანონებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. და ვისი მიზეზით დგება ეს ალტერნატივა? ფკ მრეტები თბილისის მიზეზით? არა, ფკ მრეტები თბილისი 1988 წლის 3 თებერვლიდან ანუ რეგისტრაციის დღიდან ასეთია: სტატუსების რეგლამენტების ფარი და მახვილი. ფკ დინამო თბილისის მიზეზით? არა, ფკ დინამო თბილისი მხოლოდ საბაბია. სფფ-ს მიზეზით? არა, დღევანდელ ქართულ სინამდვილეში, სფფ-ს მიერ ასეთი გადაწყვეტილების გამოტანა გმირობის ტოლფასი ყოფილა.

გულშემატკივარი: მაშ ვისი მიზეზით?

ფრიდრიხ ბოიმელი: ეს დღევანდელი ქართული პრესის ტიპიური კითხვებია, მიზეზის ნაცვლად დამნაშავის ძებნა... მაგრამ ეს უკვე შორდება ჩვენი საუბრის თემას.

გულშემატკივარი: ბატონო ბოიმელ, თქვენ გამორიცხავთ ფკ დინამო თბილისის მხრივ საქმის სასამართლოში გადატანას?

იურისტი ხუციშვილი: „ამჟამად საადვოკატო ფირმა (ბოიმელს) შეტანილი აქვს სარჩელი გერმანიის ქ. აუგსბურგის სასამართლოში (ფკ დინამო თბილისის წინააღმდეგ)... ეს ფირმა „გამოდის კლუბ „მრეტების" პრეზიდენტის ბ-ნ ვაჟა ჩხაიძის ინტერესების დამცველად. შესაძლებელია, გერმანიაში წასვლამაც მოგვიწიოს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ სფფ არ გადახედავს თავის დადგენილებას, რომელმაც ფრთები შეასხა გერმანელებს, რადგან იგი ფაქტიურად „მრეტებს" ამართლებს" (II XII, № 73)

ფრიდრიხ ბოიმელი: (გულშემატკივარს) თქვენთვის უკვე გასაგები უნდა იყოს, რომ ფიფა კრძალავს თავისი პრეროგატივის საკითხების სასამართლოში გადატანას. ასე რომ, ბატონი იურისტის განცხადება მტკნარი სიცრუეა.

(იურისტს) თქვენ შეგიძლიათ მშვიდად იყოთ, ამ საკითხზე გერმანიაში წასვლა ნამდვილად არ მოგიწევთ. თქვენის ნებართვით, ერთ შეკითხვას ჩვენც დაგისვამთ: ფკ დინამო თბილისი და მისი დამფუძნებლები – ფკ დინამო, თბილისია, ხოლო ფკ მრეტები თბილისი და მისი დამფუძნებლები – ბატონი ვაჟა ჩხაიძე? ბოლოს და ბოლოს, თქვენ ხომ იურისტი ბრძანდებით?!

(კვლავ გულშემატკივარს) ჩვენ ადრეც ვწერდით და კვლავაც ვიმეორებთ: ფეხბურთელ „ბოსმანის საქმე" სხვა იყო. ფეხბურთელ ბოსმანის შემთხვევაში საქმე ეხებოდა ევროგაერთიანების ფარგლებში, ფეხბურთელის ვადაგასული კონტრაქტის კომპენსაციის საკითხს. და, მიუხედავად ამისა, განა უეფა-ს გარეშე რაიმე გადაწყდა?! უეფა-მ შეცვალა თავისი რეგლამენტი და, რა თქმა უნდა, არა ძველი რიცხვით!

გარწმუნებთ, რომ კლუბებს შორის გაფორმებული ტრანსფერის კონტრაქტი ვერასოდეს გახდება სასამართლოს პრეროგატივა, ორი უბრალო მიზეზის გამო:

(!) სასამართლოს არ აქვს და ვერც ექნება საკითხის შესაბამისი სტატუსი და სამართლებრივი ბაზისი.

(2) საკითხის შესაბამისი სტატუსი და სამართლებრივი ბაზისი აქვს მხოლოდ ფიფა-ს, და შესაბამისად, მის წევრ ეროვნულ ფედერაციას.

იურისტი ხუციშვილი: თქვენ წერდით, რომ „ფკ მრეტები თბილისი ვადაგადაცილებული სესხების და დავალიანებების გამო და მისი დამფუძნებლების საქმეები უკვე გადაეცა აუგსბურგის სასამართლოს. ეტყობა (თქვენთან) „საკონფლიქტო საკითხთა კომიტეტი" არ არის, თორემ ასეთ საკითხს ხომ ჩვენნაირად ოპერატიულად, სასამართლოს გარეშეც გადაწყვეტდნენ" (ლელო, №55).

ფრიდრიხ ბოიმელი: თქვენ ისევ თქვენს პოზიციაზე დარჩით. ის ფაქტი, რომ ფკ მრეტები თბილისის და მისი დამფუძნებლების საქმეები, დავალიანებების და ვადაგადაცილებული სესხების გამო, აუგსბურგის სასამართლოს გადაეცა, სულაც არ იძლევა ასეთი განცხადების გაკეთების უფლებას.

ერთის მხრივ: ფკ მრეტები თბილისი და მისი დამფუძნებელი საფეხბურთო საზოგადოება ბოიმელ, ორგანიზაციულ-სამართლებრივი თვალსაზრისით, არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ქართული – შპს, გერმანული – გმბჰ) და მათი უფლება-ვალდებულებები განსაზღვრულია საქართველოს და გერმანიის კანონებით და დამფუძნებელი წესდებებით. კანონების მიხედვით კი, ფკ მრეტები თბილისის და მისი დამფუძნებლების ვადაგადაცილებული სესხების დავალიანებები სწორედ სასამართლოს პრეროგატივაა და არა სფფ-სი.

მეორეს მხრივ: ფკ მრეტები თბილისი არის სფფ-ს წევრი და მას, შესაბამისად, აქვს თავისი, როგორც სფფ-ს წევრის, უფლება-ვალდებულებები, განსაზღვრული ფიფა-ს, უეფა-ს და სფფ-ს წესდებით, სტატუსებით, რეგლამენტებით, გადაწყვეტილებებით, რის მიხედვითაც, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის, მოთამაშის სტატუსის და ტრანსფერის საკითხები სფფ-ს პრეროგატივაა და არა სასამართლოსი.

დავის საკითხის სასამართლოში გადატანა მხოლოდ ორ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი:

(1) თუ ფკ დინამო თბილისი არ იქნება სფფ-ს წევრი. ასეთ შემთხვევაში ჩვენ, ფკ მრეტები თბილისის დამფუძნებლები, სარჩელს შევიტანთ საერთაშორისო სასამართლოში (დავის მონაწილე ორივე მხარე კერძო სამართალსუბიექტია), ხოლო საკითხი მაინც სფფ-ს 2.01.97 გადაწყვეტილების და ფიფა-ს მითითებების საფუძველზე გადაწყდება – ვიმეორებ, სასამართლოს არ აქვს და ვერც ექნება საკითხის შესაბამისი სტატუსი და, შესაბამისად, სამართლებრივი ბაზისი.

(2) თუ სფფ არ იქნება ფიფა-ს წევრი, ასეთ შემთხვევაშიც, ჩვენ კვლავ იგივე მექანიზმით ვისარგებლებთ.

ეს მხოლოდ საკითხის ბოლომდე გარკვევის მიზნით, თორემ ასეთი რეალობა ჩვენი წარმოსახვის საზღვრებს მიღმაა.

გულშემატკივარი: რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ფკ დინამო თბილისი მაინც დააყენებს საკითხს სასამართლოში, ხოლო ეს სასამართლო შეეცდება საკითხის განხილვას?

ფრიდრიხ ბოიმელი: ამისათვის მან ჯერ ეს

იხ. მე-2 გვ.

ფაქსი ფიფადან

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია
ბატონი დავით კვინიკაძე
გენერალური მდივანი
ციურიხი, 29 ივლისი 1997

ფეხბურთელ გიორგი ქინქლაძის ტრანსფერი (ს.კ. მრეტები თბილისი, ს. კ. დინამო თბილისი, ს.კ. მანჩესტერ სიტი)

ძვირფასო ბატონო,

ჩვენ ვუბრუნდებით ზემოაღნიშნულ დავას და ორ ტელეფაქსს, დათარიღებულებს 28.04.97 და 12.06.97, რომლებიც თქვენი მხრიდან კვლავაც პასუხის გარეშეა დატოვებული.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენ კიდევ ერთხელ დაჟინებით მოვითხოვთ, რომ თქვენი ფედერაცია ჩაერიოს ამ საქმეში და უზრუნველყოს 1997 წლის 2 იანვარს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების განხორციელება, რაც გულისხმობს, რომ თანხა, რომელიც ეკუთვნის ს.კ. მრეტებს (თბილისი), უნდა იქნას გადახდილი არაუგვიანეს 1997 წლის 15 აგვისტოსი. იმ შემთხვევაში, თუ ეს საკითხი არ იქნა მოგვარებული ამ თარიღამდე, ჩვენ არ დაგვრჩება სხვა ალტერნატივა გარდა იმისა, რომ გადავცეთ საქმე ფიფას სადისციპლინო კომიტეტს, რათა მან მიიღოს გადაწყვეტილება იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ თქვენმა ფედერაციამ უარი თქვა ფიფას გადაწყვეტილების შესრულებაზე.

მადლობას გიხდით ზემოაღნიშნულის გათვალისწინებაში

პატივისცემით,
ფიფა, მიშელ ზენ-რუფინენი
გენერალური მდივნის მოადგილე

ასლი: საფეხბურთო კლუბ დინამო თბილისს — ფაქსი 00995-32/237027

ს. კ. მრეტები თბილისს — ფაქსი 00995 — 32/960065

(ვადასტურებთ მათგან შესაბამისი ფაქსების მიღებას 30.06.97 და 12.07.97)

გერმანიიდან მიღებული წერილის პრეამბულა

გაზეთ „ლელოს" რედაქციას

ფკ მრეტები თბილისის დამფუძნებელთა სახელით დიდ მადლობას გიხდით ჩვენი 12.07.97 წერილის დაბეჭდვისათვის.

ამ წერილის დაბეჭდვამდე და მის შემდეგაც, ხშირად მოგვმართავენ ქართული გაზეთები და ქართული ფეხბურთის გულშემატკივრები თბილისიდან, მოსკოვიდან, გერმანიიდან, მათ, ძირითადად, სიმართლე აინტერესებთ.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ სფფ-ს და სფფ-ს ხელმძღვანელთა განცხადებებს, საკითხის ირგვლივ ქართულ პრესაში დაბეჭდილი ინფორმაცია, სამწუხაროდ, სამოყვარულო ხასიათისაა, ხოლო საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის წამყვანი იურისტის კომენტარები ხომ საგაზეთო პუბლიკაციის ყოველგვარ საზღვრებს სცილდება. ამ პუბლიკაციით, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ კვლავ დაადასტურა საკითხით სუბიექტური დაინტერესება და სფფ-ს, უეფა-ს, ფიფა-ს სტატუსების და რეგლამენტების აბსოლუტური უცოდინარობა.

საერთოდ, ეს პუბლიკაცია – პასკვილი არის ცილისწამება და რეპუტაციის შელახვის მცდელობა. ხოლო ჩვენ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას შევახსენებთ, რომ საფეხბურთო საზოგადოება ბოიმელის და მისი ფილიალის ფკ მრეტები თბილისის კანონიერი უფლებები, აგრეთვე, მათი კანონიერი დამფუძნებლების კანონიერი უფლებები, 1995 წლის 6 ივლისიდან, დაცულია საქართველოს, გერმანიის და საერთაშორისო კანონებით!

დაბოლოს, თქვენი გაზეთის საშუალებით და ფკ მრეტები თბილისის დამფუძნებელთა სახელით, ვაფრთხილებთ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის და ფკ დინამო თბილისის ხელმძღვანელობას:

ეს თქვენ გადაიტანეთ დავა სფფ – ფიფა-დან პრესაში (პრესა დავის ადგილი არ არის) და თქვენვე მიეცით მას ცილისწამების და პასკვილის სახე და თქვენვე ცდილობთ დავის სფფ – ფიფა-დან სასამართლოში გადატანას, რის გამოც, მოსალოდნელ შედეგებზე, სწორედ თქვენ, და მხოლოდ თქვენ დაგეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა ქართული ფეხბურთის წინაშე! და კიდევ, ჩვენ აბსოლუტურად ყველაფერი ვიცით იმ მართლაც რომ „სპექტაკლების" შესახებ. თბილისში, და არა მხოლოდ (!), რომ გეგმავთ და დგამთ კიდეც! და თუ დღემდე ვდუმვართ, იცის ეს სფფ – ფიფამ, თუ ვისი პატივისცემით, რადგან, თქვენგან განსხვავებით, ჩვენ ამაგის დაფასება ვიცით.

ფაქტია, თკ დინამო თბილისმა ჭუჭყიანი საცვლების საჯაროდ რეცხვა დაიწყო, მართალია ჩვენ ამას ჩვეული არ ვართ, მაგრამ თავს კი დავიცავთ, რათა ყალბისმქნელებად, წამგლეჯებად, ქართული ფეხბურთის მტრებად არ შეგვერაცხოს ვინმემ.

ჩვენს წერილში „სიმართლე ქართული ფეხბურთის გულშემატკივარს", დავის საკითხთან დაკავშირებით, ქართულ პრესაში წამოჭრილ ყველა კითხვაზე ვცადეთ პასუხის გაცემა. წერილი ინფორმაციული ხასიათისაა და საკითხზე მსჯელობისას ვეყრდნობით ფიფა-ს, უეფა-ს და სფფ-ს სამართლებრივ ბაზისებს, ჩვენს ხელთ არსებულ პირველად დოკუმენტებს, პირველად ინფორმაციებს.

ჩვენი წერილი, საგაზეთო პუბლიკაციის პირობაზე, საკმაოდ დიდი და ზედმეტად მშრალი გამოვიდა, რის გამოც, ჩვენი საზოგადოების პრესშპრეხერმა გულშემატკივრებთან და იურისტებთან დიალოგის ფორმა მისცა მას. ეს მოხდა დასაშვების ფარგლებში და სიმართლის სრული დაცვით, გაზეთის მკითხველისთვის კი ნამდვილად ასე სჯობს. ოპონენტთა სახელით მოტანილი ტექსტებიდან, უშუალოდ ავტორებისეული ტექსტები ბრჭყალებშია ჩასმული, ხოლო დანარჩენი პირდაპირ გამომდინარეობს მათი პუბლიკაციებიდან.

აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ როგორც გერმანული საფეხბურთო საზოგადოება ბოიმელის ერთ-ერთი დამფუძნებელი და გეშეფტფიურერი! პრეზიდენტი, თავისთავად ცხადია, ვიცნობთ ფიფა-ს, კონფედერაციების და ეროვნული ფედერაციების სამართლებრივ ბაზისებს, აგრეთვე, პიროვნების შესახებ კანონებს და ხელშეკრულების გაფორმების წესებს ანუ ყოველივე იმას, რაც გათვალისწინებულია ფიფა-ს ნორმებით (ფკ მრეტები თბილისის პრეზიდენტი ბატონი ვაჟა ჩხაიძე ასევე არის საფეხბურთო საზოგადოება ბოიმელის გეშეფტფიურერი პრეზიდენტი და არაერთხელ აღმინიშნავს, რომ მას ვერავინ შეედრება ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ბაზისების ცოდნაში). ვსარგებლობთ გერმანელი იურისტების მომსახურებით.

გთხოვთ, ჩვენი წერილები კვლავ უცვლელად, მხოლოდ ჩვენს მიერ გამოგზავნილი თარგმანის მიხედვით დაიბეჭდოს. წინასწარ გიხდით მადლობას.

პატივისცემით, ფრიდრიხ ბოიმელი. აუგსბურგი.

თბილისის „დინამოს" შემდეგი მეტოქე ჩემპიონთა ლიგაში – ბაიერ-04 (ლევერკუზენი, გერმანია)

მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი ძვეყნის სახელით გამოდის, თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდს ასეთი ძლიერი მეტოქე არ შეხვედრია.

„ბაიერის" ბოლოდროინდელი წარმატებები უკავშირდება მწვრთნელ კრისტოფ დაუმის გუნდში მოსვლას.



დაუმი დაიბადა 1953 წლის 24 ოქტომბერს, სამწვრთნელო საქმიანობა 1981 წელს დაიწყო. წვრთნიდა „კიოლნს" (1986-90), „შტუტგარტს" (1990-93), სტამბულის „ბეშიქტაშს". „ბაიერის" მწვრთნელია 1996 წლის ივნისიდან.

დაუმის მოსვლამდეც „ბაიერი" ურიგო ფეხბურთელებით არ იყო დაკომპლექტებული, მაგრამ გუნდს მაღალი შედეგებისთვის არ მიუღწევია. მწვრთნელმა ფეხბურთელებს დამაჯერებლობა და რწმენა შემატა. ყველასათვის მოულოდნელად სწორედ ლევერკუზენელები აღმოჩნდნენ მიუნხენის „ბაიერის" მთავარი კონკურენტები გერმანიის ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლაში.

მაშ ასე, „ბაიერი":

მეკარეები: დირკ ჰაინენი 03.12.70
რუდიგერ ვოლბორნი 12.02.63
მცველები: რობერტ კოვაჩი 06.04.74
იენს ნოვოტნი 11.01.74
კრისტიან ვიორნსი 10.05.72
ჰალგერ ფახი 06.09.62
მარკუს ჰაპე 11.02.72
ნახევარმცველები: იან ჰინცე 17.08.63
ნიკო კოვაჩი 15.10.71
კარსტენ რამელოვი 20.03 74
რენე რიდლევიცი 18.07.73
ემერსონი 19.08.74
მანუელ კარდონი 22.09.72
სტეფან ბაინლიხი 13.01.72
თავდამსხმელები: ულფ კირსტენი 04.12.65
ერიკ მაიერი 02.08.69



იხ. მე-3 გვ.

პირველი გვერდიდან

სასამართლო უნდა იპოვოს, რაც ძნელი წარმოსადგენია. და თუ მაინცადამაინც გამოჩნდება მსურველი, მაშინ, გარწმუნებთ, განმეორდება ფიფა – საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია – ბერნარდ ტაპის ცნობილი ისტორია. ასეა, ვისაც ფიფა-ს მიერ მინიჭებული სტატუსებიდან გამომდინარე უფლებების სარგებლობა სურს (ეროვნული, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატები, ევროთასები, საერთაშორისო შეხვედრები და ა.შ., მან ეს სტატუსებიც უნდა ცნოს და შესაბამისი რეგლამენტებიც უნდა დაიცვას!

გულშემატკივარი: სამწუხაროდ, უკვე ველარ შეგეკამათებით.

ფრიდრიხ ბოიმელი: რატომ სამწუხაროდ... ფაქტი ერთია, ფკ დინამო თბილისი და, საერთოდ, ყველა კლუბი, ყველა ფეხბურთელი, ფეხბურთის ყველა მოღვაწე უნდა მიეჩვიოს წეს-კანონების დაცვას. ფკ მრეტები თბილისისაგან ეს მოთხოვნა ახალი ხილი არ არის და არც ქართული ფეხბურთი ზარალდება ამით.

ჩვენი აზრით, თქვენს ძირითად კითხვებზე, თუ ვისი პრეროგატივაა სფფ-ს წევრ კლუბებს შორის გაფორმებული ტრანსფერის კონტრაქტი და რა სამართლებრივი ბაზის საფუძველზე რეგულირდება იგი, პასუხი გავეცით. რა თქმა უნდა, უმჯობესი იქნებოდა ჟურნალისტებს და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს დაეყენებინათ საკითხი ასე და ეს კითხვები სფფ-სთვის დაესვათ – პროფესიონალებს ამ კითხვებზე ერთნაირი პასუხები აქვთ მთელს მსოფლიოში:

(1) ფკ მრეტები თბილისის და მისი დამფუძნებლების ქმედება, რომ მათ, 11.07.92 წ. № კოფ 3 ტრანსფერის კონტრაქტის პირობების ფკ დინამო თბილისის მხრივ შეუსრულებლობის გამო, საკითხი დააყენეს სფფ-ში და არა სასამართლოში, ხოლო სფფ-მ საკითხი განიხილა და თავისი გადაწყვეტილება გამოიტანა, შესაბამება კლუბი – სფფ – ფიფა-ს სამართლებრივ ნორმებს და მათი მხრივ ეროვნული და საერთაშორისო სპორტული იურისდიქციის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. პირიქით, ფკ მრეტები – სფფ-ს მხრივ ნებისმიერი სხვა ქმედება იქნებოდა ამ ნორმების დარღვევა, რაც მართლაც რომ ძვირად დაუჯდებოდა ქართულ ფეხბურთს.

(2) ფკ მრეტები თბილისის და მისი დამფუძნებლების ქმედება, რომ მათ, ფკ დინამო თბილისის მხრივ სფფ-ს 2.01.92 წ. გადაწყვეტილების შეუსრულებლობაზე სფფ-ს პასიურობის გამო, სფფ-ს და, შესაბამისად, ფკ დინამო თბილისის წინააღმდეგ საკითხი დააყენეს ფიფაში, შესაბამება კლუბი – სფფ – ფიფა-ს სამართლებრივ ნორმებს და მათი მხრივ ეროვნული და საერთაშორისო სპორტული იურისდიქციის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

გულშემატკივარი: ჩვენ პრესის საშუალებით გავეცანით ფიფა-ს წერილს. როგორ გგონიათ, ფიფა თავის მოთხოვნებში მხოლოდ სფფ-ს 2.01.97 წ. გადაწყვეტილებას ეყრდნობა?

ფრიდრიხ ბოიმელი: ფიფა-ს ჩვენც გავუგზავნეთ ყველა პირველადი დოკუმენტი და განმარტება. ასე რომ, ფიფა ამ მასალებსაც ეყრდნობა. ამიტომაც იყო ფიფა-ს რეაგირება კატეგორიული:

„საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ბატონ დავით კვინიკაძეს. გენერალური მდივანი. ციურიხი, 1997 წლის 12 ივნისი. დიდად პატივცემულო გენერალურო მდივანო, ჩვენ ველოდებით დასტურს იმისა, რომ თქვენ თქვენივე 2.01.97 გადაწყვეტილება ფკ დინამო თბილისთან უკვე შეასრულეთ და რომ ორივე თანხა, თითოეული 375000, აშშ დოლარის ოდენობით, რაც გადასახდელი იყო 25.01.97 და 1.03.97, უკვე გადახდილია. თქვენი დაუყოვნებელი პასუხისათვის წინასწარ გიხდით მადლობას. პატივისცემით, ფიფა, გენერალური მდივნის მოადგილე მიშელ ცენ-რუფინენ. ასლი: ფკ მრეტები თბილისი",

* * *

გულშემატკივარი: საკითხის პრეროგატივასთან დაკავშირებით მეტი შეკითხვა აღარ გვაქვს. ჩვენი მომდევნო ძირითადი შეკითხვა ასეთია:

სამართლიანია თუ არა სფფ-ს 2.01.97 წ. გადაწყვეტილება ფიფა-ს მოთხოვნები?

იურისტი ხუციშვილი: „ნორჩი დინამოელის" დირექტორის განცხადების თანახმად, ფკ მრეტები თბილისმა, 1991 წლის მაისში, მათ სკოლას ფაქტიურად, წაართვა ფეხბურთელი ქინქლაძე (ლელო, №555).

ფრიდრიხ ბოიმელი: ამ საკითხზე ჩვენ უკვე გავეცით ამომწურავი პასუხი „ლელოს" და „ქართული ფეხბურთის" საშუალებით. აქ მხოლოდ ერთს დავამატებთ: 1991 წლის მაისში ფეხბურთელი ქინქლაძე უკვე ფკ მრეტების თბილისის ძირითადი ფეხბურთელი და პირველი ლიგის ჩემპიონი იყო (ერთწრიანი ჩემპიონატი). არც 1990 წელს ირიცხებოდა იგი „ნორჩ დინამოელში". როგორც ამას სკოლის დირექტორი ბრძანებს. 1990 წელს ფეხბურთელი ქინქლაძე მეორე ლიგის ჩემპიონი იყო ფკ მრეტები თბილისის შემადგენლობაში – ძირითად ფეხბურთელად ითამაშა პირველი ეროვნული ჩემპიონატის და თასის გათამაშების თამაშების 85 %. ფეხბურთელი ქინქლაძე ფკ მრეტები თბილისმა აიყვანა 1990 წლის გაზაფხულზე, ყველა წესის დაცვით და სფფ-მ იგი ფკ მრეტები თბილისის განაცხადში დაამტკიცა ყველა წესის დაცვით.

იურისტი ხუციშვილი: 11.07.1992 წ. № კოფ 3 ტრანსფერის კონტრაქტში „არ არის მითითებული დრო, თუ როდის იქნა დოკუმენტზე ხელმოწერა" (ლელო, №55).

ფრიდრიხ ბოიმელი: მხარეთა მიერ ხელმოწერის დრო კონტრაქტში მითითებულია. კონტრაქტი დათარიღებულია 1992 წლის 11 ივლისით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ – სწორედ ესაა ხელმოწერის დრო. რომ ყოფილიყო დროში რაიმე შეუსაბამობა, ეს აღნიშნული იქნებოდა, მხარეთა მიერ. ხელმოწერის ადგილას, როგორც ეს ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე. საერთოდ, ეს კონტრაქტი მომზადდა, საგანგებოდ, 11 ივლისს ხელმოსაწერად – ფკ დინამო თბილისის მიერ სფფ-ში არაერთგზის აღებული კონსულტაციების შემდეგ.

იურისტი ხუციშვილი: რატომ არ არის კონტრაქტი ზონარგაყრილ-დაბეჭდილი? (ლელო, №55).

ფრიდრიხ ბოიმელი: რატომ უნდა იყოს კონტრაქტი ზონარგაყრილი? რაც, პირადად მე, გერმანულ კლუბებში მუშაობის პერიოდში, ტრანსფერის და ფეხბურთელის კონტრაქტები გამიფორმებია და არც ერთი – ზონარგაყრილი! ამას ხომ მხოლოდ ნოტარიული სამსახური აკეთებს ყველგან, ხოლო ფიფა-ს და ეროვნული ფედერაციების რეგლამენტები არ ითხოვს ნოტარიული წესით დამოწმებულ ტრანსფერის და ფეხბურთელის კონტრაქტებს.

იურისტი ხუციშვილი: მაგრამ ასეთ შემთხვევაში, კონტრაქტში „ვისაც რა მოესურვებოდა ის შეძლო ჩაეწერა" (1' XII, № 73).

ფრიდრიხ ბოიმელი: რა თქმა უნდა, დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა ყოველთვის არსებობს, მაგრამ უფლებამოსილება – არა, რის გამოც დამნაშავე ისჯება წეს-კანონების მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში, ამის შემოწმება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს სფფ-ფიფა-ს ექსპერტებისთვის. სფფ ამ კონტრაქტს გაფორმებამდეც იცნობდა – როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ კონტრაქტის პირობებთან დაკავშირებით, ფკ დინამო თბილისმა, ფკ მრეტები თბილისის თანდასწრებით, სფფ-ში არაერთგზის აიღო კონსულტაციები, ხოლო ამ კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, სფფ-ს როგორც სტატუსით ზემდგომს და შესაბამისი პრეროგატივის მქონეს, გადაეცა ტრანსფერის კონტრაქტის ერთი ეგზემპლარი, რადგან ფეხბურთელი ტრანსფერის ამ კონტრაქტის ერთ-ერთი მონაწილე მხარეა და ვალდებულებით არის დაკავშირებული ფკ მრეტები თბილისთან!

იურისტი ხუციშვილი: რატომ აზის 11.07.1992 წ. № კოფ ტრანსფერის კონტრაქტის ფკ მრეტები თბილისის ეგზემპლარს შტამპი „შემოსული" თარიღით 8.12.93 წ. № ფ-29? (ლელო, №55).

ფრიდრიხ ბოიმელი: ფკ მრეტები თბილისი, 1988-1992 წლებში არსებობდა კოოპერატიულ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით (1988 წელს ხომ კერძო საწარმოების სხვა ფორმები არ არსებობდა!). ამ პერიოდში კლუბში მოქმედებდა დანაწევრებული საარიცხვო სისტემა, რისი სარეგისტრაციო ნომერი აზის კიდეც ამ კონტრაქტს: „კოფ 3", რაც ნიშნავს "კონტრაქტი – ორგანიზაციები, ფეხბურთელები № 3". შემდეგ ფკ მრეტები თბილისში ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა შეიცვალა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ნაირსახეობა ერთი პირის საწარმო გახდა. ამასთან დაკავშირებით, კლუბში შეიქმნა „ერთიანი საარიცხვო სისტემა", რის გამოც ყველა ძველმა საბუთმა გაიარა ხელახალი რეგისტრაცია.

იურისტი ხუციშვილი: ეს კონტრაქტი „შედგენილია 1992 წლის 11 ივლისს, რაც არასწორია, რადგან კონტრაქტი უნდა დადებულიყო, ქინქლაძე – „დინამოს" შორის 1992 წლის 1 ივლისის კონტრაქტის დადებამდე. რიცხვი 11 ივლისის – არ არის სწორი ფაქტობრივი შეუსაბამობის გამო" (ლელო, №55).

ფრიდრიხ ბოიმელი: თუ მაინცდამაინც არ დაიშლით, ეს კითხვა ფკ მრეტები თბილისს კი არა, ფკ დინამო თბილისს და ფეხბურთელ ქინქლაძეს უნდა დაუსვათ. 1992 წლის 1 ივლისის ქინქლაძე ჯერ კიდევ ფკ მრეტები თბილისის ფეხბურთელია, ფკ მრეტები თბილისსა და მას შორის გაფორმებული 05.12.90 წ. № კმგ 59 კონტრაქტის თანახმად (ეს მეორე კონტრაქტია ფკ მრეტები თბილისსა და ფეხბურთელ ქინქლაძეს შორის, რითაც შეიცვალა მათ შორის გაფორმებული პირველი კონტრაქტი. ვიმეორებთ, 1990 წლის 12 დეკემბერს ფეხბურთელი ქინქლაძე უკვე მეორე ლიგის ჩემპიონია ფკ მრეტები თბილისის შემადგენლობაში – ძირითად ფეხბურთელად ითამაშა თამაშების 85 %).

საერთოდ, იცავთ რა ფკ დინამო თბილისის ინტერესებს, თქვენ, როგორც საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის წამყვანი იურისტი და საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი, თქვენი ავტორიტეტის ძალით, ამ კითხვით უმძიმეს მდგომარეობაში აყენებთ ფკ დინამო თბილისს და ფეხბურთელ ქინქლაძეს.

ფიფა-ს და სფფ-ს „მოთამაშეთა სტატუსის და ტრანსფერის მარეგულირებელ რეგლამენტებში" სიტყვასიტყვით წერია:

„მოთამაშე, მისი კონტრაქტის მოქმედების პერიოდში, არ შეიძლება გადაყვანილ იქნას სხვა კლუბში, თუ სამივე დაინტერესებული მხარე – კლუბი, რომელსაც ის ტოვებს, თვითონ მოთამაშე და კლუბი, სადაც ის გადადის, არ შეთანხმდებიან". § 12,4 – ე.ი. სანამ არ გაფორმდება ტრანსფერის კონტრაქტი.

„ყოველი მოთამაშე, რომელიც ერთიდაიგივე დროის განმავლობაში დებს კონტრაქტს სხვადასხვა კლუბთან, დისკვალიფიცირებულ იქნება, სანამ ამ გადაწყვეტილებას არ განიხილავს სფფ-ის (ფიფას რეგლამენტში წერია „ფიფა") კომპეტენტური ორგანოები". § 12,38

გულშემატკივარი: ეს მოთამაშის სასჯელს რაც შეეხება. კლუბი?

ფრიდრიხ ბოიმელი: კლუბი არათუ სხვა კლუბის ფეხბურთელთან კონტრაქტის გაფორმებისთვის, არამედ იმისთვისაც კი ისჯება, რომ ამ სხვა კლუბთან შეთანხმების გარეშე, მის ფეხბურთელთან დაიწყოს მოლაპარაკება:

„კლუბმა, რომელსაც სურს აიყვანოს სამსახურში მოთამაშე, რომელიც ამჟამად სხვა კლუბთან კონტრაქტით არის დაკავშირებული, ამ მოთამაშესთან მოლაპარაკების დაწყებამდე უნდა შეატყობინოს მის კლუბს წერილობით თავისი ინტერესების შესახებ". §13.1

„ყოველი დარღვევა ზემოთ მოყვანილი ვალდებულებებისა, თუ ერთ-ერთი მხარე გამოთქვამს უკმაყოფილებას, უნდა იქნას წარდგენილი სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტში (ფიფა-ს რეგლამენტში წერია „ფიფა-ს სადისციპლინო კომიტეტში"). §13.2

ფკ მრეტები თბილისმა და მისმა დამფუძნებლებმა, პირველად ბატონი იურისტის პუბლიკაციიდან გავიგეთ, რომ 1992 წლის 1 ივლისს ფკ დინამო თბილისსა და ფეხბურთელ ქინქლაძეს ფიფა-ს და სფფ-ს რეგლამენტები დაურღვევიათ. და ის ფაქტი, რომ მას შემდეგ ფკ დინამო თბილისმა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და ხელმძღვანელობა შეიცვალა, თავად ფკ დინამო თბილისს პასუხისმგებლობას არ ხსნის.

(იურისტს) ასე რომ, თუ თქვენ მაინცდამაინც „გაყალბებული" (ლელო, №55) დოკუმენტების აღმოჩენით ბრძანდებით დაინტერესებული, აი ისიც.

იურისტი ხუციშვილი: „დინამო" ქინქლაძის (1992 წლის) 1 ივლისის კონტრაქტის 22 მუხლიდან არც ერთში არ ჩანს (1992 წლის 11 ივლისის) სადავო კონტრაქტის არსებობა" (ლელო, №55).

ფრიდრიხ ბოიმელი: ბატონო? როგორც ვხედავთ, იუმორის დიდი ნიჭით ბრძანდებით დაჯილდოებული.

იურისტი ხუციშვილი: „ქინქლაძე – „დინამოს" 1 ივლისის კონტრაქტის 22 პუნქტიდან არც ერთში არაა შეტანილი „მრეტებისათვის" სადავო §3" (ლელო, №55).

ფრიდრიხ ბოიმელი: მით უარესი ფკ მრეტები თბილისისათვის, თქვენ კი დიდი მადლობა.

იურისტი ხუციშვილი: ვითომ და რატომ? ამისთვის ერთადერთი სასჯელი-სანქცია, 11.07.1992 წ. № კოფ 3 ტრანსფერის კონტრაქტის §3-ის მიხედვით, არის ის, რომ ფეხბურთელ ქინქლაძესა და „სფფ-ს წევრ კლუბს შორის გაფორმებული კონტრაქტი ძალმოსილად არ ჩაითვლება" (ლელო, № 55).

ფრიდრიხ ბოიმელი: მით უარესი ფკ მრეტები თბილისისათვის. ამ შემთხვევაში კიდევ უფრო რეალური ხდება, 11.07.1992 წ. № კოფ 3 ტრანსფერის კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით. ჩვენი იურისტების მოთხოვნა:

„სულ უფრო მეტად იბადება კითხვა: ხომ არ უნდა გამოცხადდეს ფკ დინამო თბილისთან გაფორმებული ხელშეკრულება გაუქმებულად, რადგან მრავალმხრივი გაფრთხილების მიუხედავად ხელშეკრულების პირობები არ შესრულებულა, აქედან გამომდინარე ფკ მრეტები თბილისს მთლიანი ტრანსფერის თანხა ეკუთვნის" (ჩვენს მიერ ფიფა-ში გაგზავნილი 3.4.97 წერილიდან)

იურისტი ხუციშვილი: ეს უკვე მეტისმეტია. რადგან „არ უნდა იყოს სადავო, რომ ხელშეკრულების ვადა ორი წლით განისაზღვრებოდა" (ლელო, №55).

ფრიდრიხ ბოიმელი: თქვენსავე სტილს დაგესესხებით: 11.07.1992 წ. № კოფ 3 ტრანსფერის კონტრაქტის რვა მუხლიდან არც ერთში არ არის აღნიშნული ამ კონტრაქტის ვადა" აი, ინებეთ კონტრაქტი... როგორც ხედავთ, ამ კონტრაქტს §1.4-ში აღნიშნული ვადა – 2 წელი ეხება მხოლოდ ფკ დინამო თბილისთან ფეხბურთელ ქინქლაძის კონტრაქტს:

„მრეტებსა და ფეხბურთელს შორის გაფორმებული კონტრაქტის № კ-მგ 59, 05.12.90-ის გაუქმების შემდეგ, დინამო და ფეხბურთელი ურთიერთშორის აფორმებენ კონტრაქტს 2 (ორი) წლის ვადით, რომლის პირობებში (§3-ით გათვალისწინებული პირობის გარდა) ამ კონტრაქტით არ არის განსაზღვრული და იგი გადაწყდება დინამოსა და ფეხბურთელს შორის შეთანხმებით".

ტრანსფერის ეს კონტრაქტი გონიერი კაცის შედგენილია და მან ძალიან კარგად იცოდა მის მიერვე აღმოჩენილ-დაღვინებული ფეხბურთელის ფასი და კიდევ ბევრი რამ... სწორედ ამიტომ წერდა იგი ფიფა-ს გენერალურ მდივანს ბატონ იოზეფ ბლატერს ერთადერთ წინადადებას:

„პატივცემულო გენერალურო მდივანო, როდესაც პირადად მე საბჭოთა სინამდვილეში პირველ კერძო კლუბს ვაფუძნებდი, რისთვისაც წარმოუდგენელი დევნა-შევიწროება გადავიტანეთ ფკ მრეტები თბილისმა და მთელმა მისმა კოლექტივმა, რის შემდეგაც დღემდე ვერ დავმდგარვათ ფეხზე. მე ამას ვაკეთებდი ქართული ფეხბურთის ფენომენისადმი რწმენით და ფიფა-ს იმედით! და არა „საბჭოეთის" იმედით! და ეს მთელმა საქართველომ იცის. პატივისცემით, ვაჟა ჩხაიძე."

დიახ, „სიცრუის იმპერია" დაინგრა, მაგრამ „ცრუ ფსიქიკა" დარჩა. რას ვიზამთ, დიდია ინერციის ძალა...

იურისტი ხუციშვილი: იმაში ხომ მაინც გვეთანხმებით, რომ „სფფ ფიქსირებული თანამონაწილეა ამ შეთანხმების", რადგან მასვე გადაეცა ამ კონტრაქტის ერთი ეგზემპლარი? (ლელო, №55).

ფრიდრიხ ბოიმელი: არა, სფფ კონტრაქტის თანამონაწილე კი არა, ზემდგომია: სფფ თავისი სტატუსით და რეგლამენტებით არის უფლებამოსილი და ვალდებულია გააკონტროლოს თუ გადაწყვიტოს საკითხი. ვიმეორებთ, ფეხბურთელი ქინქლაძე ამ კონტრაქტის ერთ-ერთი მონაწილე მხარეა და ვალდებულებით არის დაკავშირებული ფკ მრეტები თბილისთან, რის გამოც ამ კონტრაქტის ერთი ეგზემპლარი გადაეცა სფფ-ს.

იურისტი ხუციშვილი: „სსფ-ს წევრ კლუბებში ყიდვა გაყიდვის საკითხი სფფ-ს ხელმძღვანელთა თანხმობით რეგულირდება და გასამრჯელოს მიღების გარეშეც..." (ლელო, №55).

ფრიდრიხ ბოიმელი: ბატონო იურისტო, ეს უკვე მეტისმეტია, ფეხბურთელი არც ერთ ქვეყანაში არ იყიდება! კლუბები, ფეხბურთელის კონტრაქტის დათმობისათვის ანუ „ფეხბურთელის ტრანსფერის უფლების დათმობისათვის" (ფიფა-ს ტერმინია) ღებულობენ „ტრანსფერის თანხას" (ფიფა-ს ტერმინია). მეორეც, საკითხი რეგულირდება არა „სფფ-ს ხელმძღვანელობის თანხმობით", არამედ ფიფა-ს და სფფ-ს შესაბამისი რეგლამენტებით „ტრანსფერის სერთიფიკატის" (ფიფა-ს ტერმინია) საფუძველზე.

იურისტი ხუციშვილი: რატომ აქვს ფკ მრეტები თბილისს საბანკო ანგარიში გერმანიაში, აუგსბურგში, „გერმანია რა შუაშია?" (ლელო, №55).

ფრიდრიხ ბოიმელი: იმიტომ, რომ ეს საკითხი ასე გადაწყვიტა ფკ მრეტები თბილისმა და მისმა დამფუძნებლებმა, რითაც ისინი არ არღვევენ კანონებს. მეორეც, აუგსბურგში არის თავი ფირმა... ბოდიშს გიხდით ბატონო იურისტო, მაგრამ ცოტა სხვა გულშემატკივრებსაც მოვუსმინოთ...

დავითაშვილი, მენაბდე, ტაბატაძე: „კონფლიქტის სათავე შორს მიდის, ჩაითვლება თუ არა საქმე ხანდაზმულად?" (ლელო, №56).

ფრიდრიხ ბოიმელი: არა, ფიფა-ს და სფფ-ს რეგლამენტების მიხედვით, ტრანსფერის კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, საკითხის დაყენების ვადა განსაზღვრული არ არის.

დავითაშვილი, მენაბდე, ტაბატაძე: ჰქონდა თუ არა „სფფ-ს საკონფლიქტო საკითხთა კომიტეტს უფლება შეკრებილიყო დასვენების დღეს, 2 იანვარს?" (ლელო, №56).

იურისტი ხუციშვილი: ეს შეკითხვა თავდაპირველად მე დავსვი... („ლელო, №55).

ფრიდრიხ ბოიმელი: საერთოდ, ფეხბურთში არ არის დასვენების დღეები? სხვათა შორის, ეს სხდომა სამჯერ დაინიშნა და გადაიდო ფკ დინამო თბილისის მხარის გამოუცხადებლობის გამო. ჩვენ ამას ვერასოდეს ვერ გავიგებთ...

იურისტი ხუციშვილი: „მთელი ხუთი წლის განმავლობაში, თუკი კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები ირღვეოდა – რატომ არ დააყენა საკითხი დაზარალებულმა მხარემ სადავოდ? ან სფფ-მ რატომ დაუშვა და ხელიც შეუწყო კონტრაქტის მოთხოვნათა შეუსრულებლობას? საქმე იმაში გახლავთ, რომ ასეთი კონტრაქტის არსებობას დინამოელები ვერ იხსენებენ და აღნიშნავენ, რომ წარმოდგენილი კონტრაქტი რამდენიმე ხნის წინ გახდა მათთვის ცნობილი" (ლელო, №55).

ფრიდრიხ ბოიმელი: ფკ დინამო თბილისის ხელმძღვანელობა არსად არაფერს ამბობს, რომ მათ არ იცოდნენ ამ კონტრაქტის არსებობა, პირიქით! ჩვენის აზრით, თქვენ აქ ამეტებთ თქვენს უფლებამოსილებას...

იურისტი ხუციშვილი: არავითარ შემთხვევაში!

ფრიდრიხ ბოიმელი: კეთილი, აი ერთ-ერთი ფაქტი:

„– (ჟურნალისტი) როგორ გაირკვა „დინამო" – „მრეტებს" შორის საკონტრაქტო თანხის გაყოფის საკითხი მას შემდეგ რაც გიორგი ქინქლაძე ლეგიონერი გახდა?

– (ფკ დინამო თბილისის პრეზიდენტი) არსებობს კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც, „დინამოს" გუნდი მიიღებს გარკვეულ თანხას. ამ თანხის დასახელება არ შეიძლება. „მრეტების" გუნდის ხელმძღვანელობა ჩვენთან ახლო ურთიერთობაშია და ყველა მიიღებს კუთვნილ თანხას, „დინამოც", „მრეტებიც" და თვითონ ფეხბურთელიც" (ფორუმი, 11X11 საფეხბურთო დამატება, №18, აგვისტო, 1995).

გულშემატკივარი: გაგიჟდება კაცი...

ფრიდრიხ ბოიმელი: (იურისტს) საერთოდ, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევასა და საკითხის დაყენებასთან, აგრეთვე, სფფ-ს პოზიციასთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხი ასეთია:

(1) დღემდე დამტკიცებულია მხოლოდ ის ფაქტი, რომ 11.07.1992 წ. № კოფ 3 ტრანსფერის კონტრაქტის პირობები ირღვევა 1995 წლის ივლისიდან ანუ მას შემდეგ, რაც ფეხბურთელი ქინქლაძე ფკ დინამო თბილისიდან ფკ მანჩესტერ სითიში გადავიდა, სხვა ფაქტები დამტკიცებულად ვერ ჩაითვლება, ვიდრე მას სფფ არ დაამტკიცებს.

(2) როდესაც ფკ დინამო თბილისი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გახდა და დამფუძნებლები-ხელმძღვანელობა შეიცვალა, ფკ მრეტები თბილისის პრეზიდენტმა ბატონმა ვაჟა ჩხაიძემ გააფრთხილა ფკ დინამო თბილისის ახალი ხელმძღვანელობა ფეხბურთელ ქინქლაძის ტრანსფერის კონტრაქტთან დაკავშირებით. ფკ დინამო თბილისის ხელმძღვანელობა, ამ კონტრაქტთან დაკავშირებით, ფკ მრეტები თბილისის პრეზიდენტის ბატონ ვაჟა ჩხაიძის თანდასწრებით, აგრეთვე, გააფრთხილა სფფ-ს პრეზიდენტმა ბატონმა ნოდარ ახალკაცმა. თუმცა ყოველივე ამის აუცილებლობა არც იყო – ამ კონტრაქტის არსებობა ყველამ კარგად იცოდა. ამას ფკ დინამო თბილისის ხელმძღვანელობა, როგორც ხედავთ, არც არასდროს უარყოფდა და არც დღეს უარყოფს.

(3) ფეხბურთელი ქინქლაძე ფკ დინამო თბილისიდან ფკ ზაარბრიუკენში გადავიდა სფფ-ს მიერ გაცემული საერთაშორისო სერთიფიკატის საფუძველზე. ფკ დინამო თბილისის ხელმძღვანელობამ სფფ-ს და ფკ მრეტები თბილისს აცნობა, რომ ფეხბურთელი ქინქლაძე ფკ ზაარბრიუკენში გადადიოდა თხოვების წესით, თხოვების თანხის გარეშე.

დღეს ჩვენ გვაქვს ეჭვის საფუძველი, რომ ფკ დინამო თბილისმა ფკ ზაარბრიუკენისაგან მიიღო თხოვების თანხა. თქვენ წერთ, რომ ფეხბურთელი ქინქლაძე ფკ ზაარბრიუკენში, რომელიც იმ დროს მეორე ბუნდესლიგის გუნდი იყო, იმყოფებოდა „სტაჟირებაზე", რაც სწორი არ არის. იგი იქ თამაშობდა „კონტრაქტისმქონე მოყვარულის კონტრაქტით" (გერმანიაში მიღებულია სამუშაო ტერმინები: „მოყვარული" და „კონტრაქტისმქონე მოყვარული"). ის, რაც პრესაში გამოაქვეყნა ფკ დინამო თბილისმა, არის გერმანიის ფეხბურთის კავშირისათვის განკუთვნილი ცნობა, რაც ჩვენ სულაც არ გვეხება. ჩვენ მოვითხოვეთ და კვლავ მოვითხოვთ შესაბამის ტრანსფერის კონტრაქტს ფკ დინამო თბილისსა და ფკ ზაარბრიუკენს შორის!

(4) ფეხბურთელ ქინქლაძის ფკ დინამო თბილისიდან ფკ მანჩესტერ სითიში გადასვლის შემდეგ, 1995 წლის ივლისშივე, ფკ დინამო თბილისის და ფკ მრეტები თბილისის პრეზიდენტები ბატონი მერაბ ჟორდანია და ბატონი ირაკლი ქავთარაძე ერთმანეთს შეხვდნენ, 11.07.1992 წ. № კოფ 3 ტრანსფერის კონტრაქტის პირობების შესრულებასთან დაკავშირებით. მოლაპარაკებები მიმდინარეობდა რამდენიმე თვის განმავლობაში. ფკ დინამო თბილისის ხელმძღვანელობამ ფკ მრეტები თბილისის ხელმძღვანელობას, ნაცვლად ფკ მრეტები თბილისის კუთვნილი 50%-ისა, 10% ანუ 175.000 აშშ დოლარი შესთავაზა, რაც გადახდილი იქნებოდა, „დინამო – სითის" შეთანხმების შესაბამისად, შემდეგი თანმიმდევრობით: 1996 წ. 15 აგვისტო – 75.000 აშშ დოლარი; 1997 წ. 15 თებერვალი – 75.000 აშშ დოლარი; 1997 წ. 15 აგვისტო – 25.000 აშშ დოლარი, მართალია ფკ დინამო თბილისის მენეჯერის ბატონ კაზაკოვსკის განცხადება: „მაშინ „დინამომ" „მრეტებს" ფული შესთავაზა, მაგრამ რატომღაც არ აიღეს. (11X11, №71)". დიახ, შესთავაზა, მაგრამ რამდენი?

ფკ მრეტები თბილისის ხელმძღვანელობა, კუთვნილი 50%-ის ნაცვლად, ითხოვდა 25%-ს, რაზედაც მათ დამფუძნებლების თანხმობაც ჰქონდათ. ფკ მრეტები თბილისის მხრივ ამ კომპრომისულ წინადადებაზე, ფკ დინამო თბილისის ხელმძღვანელობამ უარი თქვა, რაზედაც, ფკ მრეტები თბილისის პრეზიდენტმა ბატონმა ირაკლი ქავთარაძემ, თავისი და პრეზიდენტ ბატონი ვაჟა ჩხაიძის სახელით (ფკ მრეტები თბილისს ორი პრეზიდენტი ჰყავს), განუცხადა მათ: „საკითხთან დაკავშირებით ჩვენი უფლებამოსილებები ამოიწურა და დღეიდან საქმეში კლუბის დამფუძნებლები ჩაერთვებიან". „დინამო – მრეტებს" შორის უშუალო მოლაპარაკებები შეწყდა. ასე მიიწურა 1995 წელი. ფკ მრეტები თბილისი და მისი საზღვარგარეთული სელექცია, ფინანსური თვალსაზრისით, ცაიტნოტში აღმოჩნდა. დამფუძნებლებმა შეუძლებელი შევძელით, თავად ვიტვირთეთ ფინანსური საკითხების მოგვარება და ფკ დინამო თბილისს ვაცნობეთ, რომ მომავალში მათ კომპრომისული მოლაპარაკების იმედი აღარ უნდა ჰქონოდათ.

(5) ვინაიდან „დინამო – მრეტების" უშუალო მოლაპარაკებებს წარმატებები არ მოჰყვა, საქმეში ფკ მრეტები თბილისის დამფუძნებლები ჩავერთეთ. ამ პერიოდში საქართველოში უმძიმესი სიტუაცია იყო, განუკითხაობა სუფევდა... ქვეყნის ხელმძღვანელის პატივისცემით, ხმაურსა და სიტუაციის გამძაფრებას მოვერიდეთ და ახლა უკვე ჩვენ – დამფუძნებლებმა ვცადეთ ფკ დინამო თბილისთან მოლაპარაკება. ყოველივე ამან თითქმის მთელი ნახევარი წელი წაიღო და, სამწუხაროდ, წარუმატებლად დამთავრდა.

(6) ამის შემდეგ ჩვენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით: ფკ მრეტები თბილისის დამფუძნებელთა სახელით, პირადად მე წერილობით მივმართე სფფ-ს გენერალურ მდივანს ბატონ დავით კვინიკაძეს და ვთხოვე, აეხსნა ფკ დინამო თბილისის ხელმძღვანელობისათვის, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა ფკ დინამო თბილისის ასეთ ქმედებებს და ერთხელ კიდევ მივეცით მათ შესაძლებლობა გადაეხადათ ფკ მრეტები თბილისის კუთვნილი თანხები. სამწუხაროდ, სფფ-ს გენერალური მდივნის ბატონ დავით კვინიკაძის მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია.

(7) ფკ მრეტები თბილისის პრეზიდენტმა ბატონმა ირაკლი ქავთარაძემ, ჩვენი სახელით, საბოლოოდ გააფრთხილა ფკ დინამო თბილისის ხელმძღვანელობა: „ფკ მრეტები თბილისის დამფუძნებელი გერმანული მხარე გთხოვთ კიდევ ერთხელ გადახედოთ თქვენს გადაწყვეტილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკითხი დაყენებული იქნება სფფ-ში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – „ფიფა-ში". ფკ დინამო თბილისმა არც ეს შესაძლებლობა გამოიყენა.

(8) ჩვენც სხვა აღარა დაგვრჩენოდა რა და 1996 წლის 18 ნოემბერს საკითხი სფფ-ში დავაყენეთ, ხოლო სფფ-მ თავისი გადაწყვეტილება 1997 წლის 2 იანვარს გამოიტანა. როგორც უკვე ვთქვით, სხდომა სამჯერ დაინიშნა და გადაიდო, ფკ დინამო თბილისის მხარის გამოუცხადებლობის გამო.

ვიდრე ფკ მრეტები თბილისი სფფ-ში თავად არ დააყენებდა საკითხს, სფფ, თავის მხრივ, საკითხს ვერ განიხილავდა – მას არ ჰქონდა საამისო სამართლებრივი უფლებამოსილება.

(9) ვინაიდან სფფ-მ ვერ უზრუნველყო თავისი გადაწყვეტილების დროული შესრულება, ფკ მრეტები თბილისმა და მისმა დამფუძნებლებმა 1997 წლის 3 აპრილს სფფ-ს წინააღმდეგ და, შესაბამისად, ფკ დინამო თბილისის წინააღმდეგ, დააყენა საკითხი ფიფა-ში. ჩვენ მთელი მასალა ფიფა-ს გადავუგზავნეთ.

ფიფა-მ ორჯერ გამოგზავნა თავისი გამაფრთხილებელი დირექტივები, ამ თანხების გადახდის მოთხოვნით. სწორედ ამას მოჰყვა, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის და ფკ დინამო თბილისის მხრივ, სფფ-ზე ზეწოლის მცდელობა. დიახ, სულ ესაა.

გ. შელია: „რამდენადაც თავის დროზე ქართული პრესიდან შევიტყვე ქინქლაძე „სიტიში" 3 მილიონ 200 ათას დოლარად გაიყიდა. „ლელოში" გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ „დინამომ ამ გარიგებიდან მიიღო 1 მილიონ 750 ათასი, რომელიც, ალბათ, უნდა გაუყოს „მრეტებს". მაინტერესებს, სად წავიდა დანარჩენი 1 მილიონ 450 ათასი დოლარი? (ლელო №54).

დავითაშვილი, მენაბდე, ტაბატაძე: ვინაიდან ფეხბურთელი ქინქლაძე ამ კონტრაქტის მონაწილე მხარეა, „მასაც მოეთხოვება თუ არა რაიმე პასუხი?" (ლელო, №56).

ფრიდრიხ ბოიმელი: თუ იგი ფკ დინამო თბილისთან რაიმე უკანონო ფინანსურ ალიანსშია, რა თქმა უნდა.

იურისტი ხუციშვილი: ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ „გერმანელებს არაფერი ერგებათ." (11X11, №73)

ფრიდრიხ ბოიმელი: ამ საქმიდან გერმანელებს ნამდვილად არაფერი ერგებათ. ამას ჭეშმარიტად ბრძანებთ. გერმანელებს არა, მაგრამ ფკ მრეტები თბილისს და მის დამფუძნებლებს კი ნამდვილად ერგებათ, მინიმუმ, 875.000 აშშ დოლარი პლუს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

იურისტი ხუციშვილი: სფფ-ს 2.01.97 წ. გადაწყვეტილებით, ნამდვილად ასეა. ფკ დინამო თბილისმა, თქვენ გერმანიაში, ქ. აუგსბურგში უნდა მოგცეთ 875.000 აშშ დოლარი. ბატონო ბოიმელ, მე არ გამოვრიცხავ, რომ „სფფ-ს ზოგიერთი მაღალჩინოსნის ფინანსურ დაინტერესებასაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი". მაგრამ არ ვიცი, თქვენ „ვის რას გაუყოფთ და ვის რას ჩამოუტანთ". ამის მიუხედავად, მე მაინც ვაფრთხილებ სფფ-ს: „ახლა არ მსურს ყველა კარტის გახსნა, მაგრამ ერთის ხაზგასმით აღვნიშნავ – თუ სფფ-მ არ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება, მაშინ ჩვენ მათ წინააღმდეგ სხვა, ქმედით იურიდიულ ზომებს მივმართავთ" (ლელო №55 და 11X11 №73).

ფრიდრიხ ბოიმელი: ბატონო ხუციშვილო, მთავარი ის კი არ არის, ჩვენ ვის რას გავუყოფთ და ვის რას ჩამოვუტანთ, მთავარია წეს-კანონები არ დაირღვეს. მეორეც, თუ თქვენ ასე გააგრძელებთ, ჩვენ დაგიტოვებთ უფლებას, რომ თქვენ გქონდეთ კარტი, სამაგიეროდ, ვიზრუნებთ, რათა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის წამყვან იურისტს და საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრს ბატონ იმედა ხუციშვილს აეკრძალოს არათუ ფკ დინამო თბილისთან, არამედ, საერთოდ, ოფიციალურ საფეხბურთო სამყაროსთან ყოველგვარი საქმიანი ურთიერთობა. თუ არ ვცდებით, ასეთ პრეცენდენტს უკვე ჰქონდა ადგილი ფკ დინამო თბილისის მიერ მსაჯების მოქრთამვასთან დაკავშირებით.

ფკ დინამო თბილისის პრეზიდენტი: მიუხედავად ყველაფრისა, „ჩვენი მხარე საკმაოდ მაღალ დონეზეა მზად, ყველაფერს პასუხი გასცეს."

ფრიდრიხ ბოიმელი: კეთილი, დაველოდოთ ფიფა-ს გადაწყვეტილებას.

ფრიდრიხ ბოიმელი

აუგსბურგი, 25-28.VII. 1997 წ.

P.S. ფაქსი თბილისში გადაიცა 1.08.97 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის „დინამოს“ მეტოქე — „ბაიერი“ (ლევერკუზენი)



„ბაიერის“ მთავარი მწვრთნელი კრისტოფ დაუმი (მარცხნივ) ერთობ ემოციურია; ალთქმა მატჩის წინ...

კრისტოფ დაუმი და „ბაიერის“ გასაოცარი ნახტომი

მე-14 ადგილი ბუნდესლიგაში (18 მინაწილეთა შორის), 8 მოგება 34 მატჩში, 14 ფრე, 12 წაგება, ბურთების შეფარდება 37-38, 38 ქულა — ასეთი შედეგებით დაასრულა ლევერკუზენის „ბაიერმა“ გერმანიის 1995-96 წლების ჩემპიონატი. ვერაფერი მაჩვენებლებია, არა? ამის გამო იყო, რომ სწორედ უკანასკნელ ტურში გადაურჩა იგი მეორე ბუნდესლიგაში გადაყვანას. ბერნდ შუსტერმა გადაწყვიტა, რომ ასეთ კლუბში დარჩენა აღარ ღირდა, რუდი ფიოლერმა კი ბოლომდე იბრძოლა (10 გოლი ჩემპიონატში), შემდეგ შეწყვიტა თამაში (ამჯერად „ბაიერის“ ერთ-ერთი მენეჯერია), „კაიზერსლაუტერნში“ მომხდარი მოულოდნელი ჩავარდნა და გაუგებარი ქაოსი „აინტრაჰტში“ (მაინის ფრანკფურტი) რომ არა, „ბაიერი“ აუცილებლად „ჩაყვინთავდა“ და უმაღლეს ეშელონში მისი დაბრუნება დიდი პრობლემა იქნებოდა.

ახლა ყოველივე ამას წლევანდელი, უფრო ზუსტად, 1996-97 წლების ჩემპიონატის შედეგები შევადაროთ. მეორე ადგილი, 21 მოგება (ყველაზე მეტი — ბუნდესლიგაში), 6 ფრე, 7 წაგება, ბურთების სხვაობა 69-41, 69 ქულა. ერთი სიტყვით, წინა წლებთან შედარებით, ცა და დედამიწაა. ახლა სნაიპერებს აღარ იტყვით — ულფ კირსტენმა 22 გოლით პირველი ადგილი დაიკავა, ბრაზილიელმა პაულო სერჟიომ 17 გოლით მე-4-7 ადგილები გაიყო.

მაინც რა მოხდა ასეთი ამ პატარა ქალაქის (იგი გერმანიაში ცნობილია თავისი ქიმიურ-ფარმაცევტული კონცერნით) კლუბში, როგორ იქცა იგი ბუნდესლიგის ერთ-ერთი მაჩანჩალიდან ჩემპიონობის პრეტენდენტად, მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი მიუნხენის „ბაიერნის“ ღირსეულ მეტოქედ?

ეს საოცარი მეტამორფოზა დაკავშირებულია 42 წლის მწვრთნელ **კრისტოფ დაუმის** სახელთან. „ბაიერს“ ადრეც ჰყავდა ცნობილი მწვრთნელები, მათ შორის ისეთი დიდი ავტორიტეტისაც კი, როგორიც ნაკრებში სოლიდური გამოცდილების მქონე ერიხ რიბეკია, მაგრამ ისინი ჯეროვნად ვერ იყენებდნენ მოთამაშეების არცთუ მცირე პოტენციალს. იყენებდნენ კი არა, ლამის ბუნდესლიგაც კი დაატოვებინეს.

და სწორედ ასეთ ვითარებაში ლევერკუზენელ მენეჯერ რაინერ კალმუნდს აზრად მოუვიდა მთავარ მწვრთნელად მოეწვია თურქეთში მომუშავე კრისტოფ დაუმი, სპეციალისტი, რომელმაც სტამბულის „ფენერბახჩეს“ ოქროს მედლებს მოაპოვებინა (როგორც კი დატოვა დაუმმა „ფენერბახჩე“, კლუბი მესამე ადგილამდე ჩამოქვეითდა და ტოდორ ვესელინოვიჩი, სულ ახლახან, ოტო ბარიჩმა შეცვალა).

სანამ დაუმის მუშაობაზე ვილაპარაკებდეთ, ორიოდე სიტყვა თვით მენეჯერზე, რომელსაც, ჟურნალ „შპორტბილდის“ გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ბუნდესლიგაში არაფერი გამოეპარება და მოქნილი პოლიტიკოსის სახელიც აქვს. სწორი იყო, როცა თვით პარტნიორად კლუბის მართვის საქმეში პოპულარული რუდი ფიოლერი მიიწვია, დაუმმა ხომ გაუმართლა და გაუმართლა...

მეტოქეთა შესაძლებლობების დიდ ცოდნაზე და გამჭრიახ ტაქტიკოსობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, დაუმის ერთი ღირსებაც აღინიშნა: მას სხვებზე უკეთ შეუძლია მოთამაშეებთან საერთო ენის გამონახვა, ზოგის შექება და გამხნევება, ზოგის დატუქსვა. საერთოდ კი გუნდი ნამდვილად აღარ ჰგავდა იმას, წინა სეზონში ქულას ქულაზე რომ თმობდა.

კარსტენ რამელოვი

იენს ნოვოტნი

1996-97 წლების ჩემპიონატში „ბაიერმა“ 6 მატჩი დიდი ანგარიშით მოიგო, მას ჰქონდა ზედიზედ 5 მოგებული მატჩისაგან შემდგარი ბრწყინვალე სერია, შედეგიანობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბუნდესლიგაში იყო სულ ერთადერთი კლუბი „შტუტგარტი“, რომელმაც „ბაიერზე“ მეტი გოლი გაიტანა — 78 (ლევერკუზენელებმა — 69), იყო სულ ორი კლუბი — მიუნხენის „ბაიერნი“ და იგივე „შტუტგარტი“, რომელმაც „ბაიერზე“ ნაკლები გოლი გაუშვა („ბაიერნმა“ — 34, „შტუტგარტმა“ — 40).

ერთი სიტყვით, „ბაიერის“ „ნახტომი“ მართლაც გასაოცარი იყო.

მეიჯერი (მარცხნივ) და ვიორნსი

უმეტეს შემთხვევაში „ბაიერი“ თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: მეკარე ჰაინენი, დაცვა — ვიორასი, ნოვოტნი, ჰაპე, რამელოვი და ჰაინცე (დანიის ნაკრების მოთამაშე), შუა ხაზი — ლენჰოფი, ზე ელიასი, პაულო სერჟიო (ორივე — ბრაზილია), თავდასხმა — კირსტენი და ფელდჰოფი, „ბაიერში“ გამოდის აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ფეხბურთელი კლაუდიო რაინა და საკმაოდ შედეგიანი მაიერი.

როგორც კი სეზონი დამთავრდა, გამოცხადდა, რომ გუნდს სტოვებენ ბრაზილიელები **ზე ელიასი** (გადავიდა მილანის „ინტერში“) და **პაულო სერჟიო**, რომლის დასაუფლებლად „რომა“ კარგა ხანია იბრძოდა და მიაღწია კიდეც მიზანს. მიმომხილველები თვლიან, რომ შედეგიანი და მეტად ენერგიული პაულო სერჟიოს „რომაში“ გადასვლა გერმანელებისათვის უდავო დანაკლისია, თუმცა მის მაგივრად შეიძინეს ასევე ბრაზილიელი ემერსონი, რომელიც „გრემიოში“ გამოდიოდა. თუ რამდენად გამოდგება იგი, როგორც პაულო სერჟიოს შემცვლელი, უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. ლევერკუზენელებმა ამას წინათ კიდევ ერთი შენაძენი გააკეთეს — „განზადან“ გადმოიყვანეს ნახევარმცველი **შტეფან ბაინლიხი**, სამაგიეროდ, „ბაიერი“ ამ დღეებში კიდევ ერთმა ფეხბურთელმა დატოვა — სათადარიგო მეკარე **ლარს ლეეზე** ინგლისურ „ბარნსლიში“ გადაბარგდა.

ულფ კირსტენი —გუნდის დამრტყმელი ძალა

დროდადრო გერმანიის ნაკრების მწვრთნელი ბერტი ფოგტსი სხვადასხვა მატჩებში მონაწილეობის მისაღებად იწვევს „ბაიერის“ მცველებს ვიორნსა და ნოვოტნის, ხოლო რაც შეეხება ქვეყნის №1 სნაიპერ კირსტენს, იგი ძალიან ხშირად თამაშობს ნაკრებში, თუმცა, როგორც კარგად არის ცნობილი, თავდასხმაში გარანტირებული ადგილი მხოლოდ კლინსმანს აქვს. მისი მეწყვილეობისათვის კი ერთმანეთს სისტემატურად ექიშპება რამდენიმე მოთამაშე, რომლებმაც ყოველი მატჩის წინ თავიდან უნდა დაამტკიცონ თავიანთი უფლება.

რამდენიმე სიტყვა განთქმულ სნაიპერ **ულფ კირსტენის** შესახებ, რომელსაც დეკემბერში 32 წელი შეუსრულდება. იგი დაიბადა პატარა ქალაქ რიზეში, დრეზდენთან ახლოს. 1972-78 წლებში რიზეს „ხემიში“ თამაშობდა, შემდეგ ამავე ქალაქის „შტალში“. გერმანიის გაერთიანების შემდეგ ჩაირიცხა „ბაიერში“. თუ ადრე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი იყო, ახლა აღმოსავლეთგერმანელთა იმ მცირე ჯგუფში აღმოჩნდა, რომელმაც დიდი აღიარება უკვე საერთო-გერმანული მასშტაბით მოიპოვა. 1993 წელს „ბაიერის“ შემადგენლობაში კირსტენმა გერმანიის თასი მოიპოვა, მაგრამ ყველაზე უკეთესი სეზონი მაინც ახლა ჰქონდა. საინტერესოა, რომ თავისი 22 გოლი კირსტენმა 15 მატჩში გაიტანა, აქედან ორი „ჰეთ-თრიკი“ ჰქონდა — „დუისბურგსა“ და „ჰამბურგერ შპორტფერაინთან“. 11-მეტრიანით სულ 2 გოლი გაიტანა.

უკანასკნელ პერიოდში „ბაიერის“ შემადგენლობაში ძლიერი თამაშით გამოირჩევა ნახევარმცველი **კარსტენ რამელოვიც** (სხვათა შორის, მან საკმაოდ ბევრი თავსატეხი გაუჩინა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშეებს გასული ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში).

გერმანული სპორტული პრესა არაერთხელ აღნიშნავდა „ბაიერის“ მეკარე ჰაინენის კარგ თამაშს და დაცვითი ხაზების შეწყობილ მოქმედებას.

ერთი სიტყვით, ლევერკუზენის „ბაიერი“, რომელიც სულ რაღაც ერთი წლის წინ არავითარ შემთხვევაში არ მიეკუთვნებოდა ბუნდესლიგაში ასე თუ ისე გამორჩეულ კლუბებს, ახლა დიდებულად განხორციელებული „გარღვევის“ შედეგად ევროპის მოწინავეთა რიგებში აღმოჩნდა, ხოლო კრისტოფ დაუმი სრულიად სერიოზულად მიაჩნიათ გერმანიაში საუკეთესო მწვრთნელად.

გივი გამრეკელი

პრინციპული და გულახდილი ბლოხინი

ჟურნალისტების მოსყიდვა მწვრთნელებისთვის ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა

ოლეგ ბლოხინი, კიევის „დინამოსა“ და სსრ კავშირის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი. სამგზის აღიარებული იყო ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად, ხოლო 1975 წელს — ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი.

გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს ოლეგ ბლოხინთან ჟურნალისტის საუბრიდან, რომელიც გაზეთ „სობესედნიკში“ გამოქვეყნდა.

● *შვიდი წელი საბერძნეთში იმუშავეთ. ავარჯიშებდით „ოლიმპიკოსს“, „პაოკს“, „იონიკოსს“ და რამდენადაც მახსოვს, „პაოკის“ კლუბთან სასამართლო დავაც გაჩაღეთ...*

— ამ კლუბს არ უნდოდა კონტრაქტით რომ მერგებოდა, იმ ფულის გადახდა. ბერძნებს ჩემი გაცურების იმედი ჰქონდათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. სასამართლოში განცხადება შევიტანე და საჩივარი უეფაში გავაგზავნე. ორ წელს გაჭანჭლდა ეს საქმე, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მოვიგე.

● *მაინც რა თანხაზე იყო ლაპარაკი?*

— არა აქვს მნიშვნელობა. ვისთვის 100 დოლარი მთელი ქონებაა, ვინ კიდევ 100 ათას დოლარს ისე დაკარგავს, ვითომც არაფერიაო. მთავარი ჩემთვის ისაა, რომ თავი არ გავაბითურებინე.

● *ეს კარგია, მაგრამ „იონიკოსიდან“ რომ დაგითხოვეს? თითქოს გუნდის საქმე ურიგოდ არ მიდიოდა...*

— არავის არ დავუთხოვივარ, თავად წამოვედი. მივხვდი, რომ ამ გუნდიდან მეტის „გამოწურვას“ ველარ შევძლებდი, ნიჭიერი მოთამაშეები მჭირდებოდა. ვიგრძენი, როგორ დავკარგე მუშაობის ინტერესი, სტიმული.

● *ოლეგ ბლოხინი — უმუშევარი. პირდაპირ სასეირო. გამოდის, რომ ამჟამად ცოლის კისერზე ხართ?*

— სულაც არა. აქამდე არასოდეს მივა საქმე. ფული საკმარისად გავაკეთე და შემიძლია თავს ცოტა დასვენების უფლება მივცე. ახლანდელი სიტუაცია, რასაკვირველია, ჩემთვის სახარბიელო როდია. გარკვეულ დისკომფორტს განვიცდი. მოვისაკლისე ვარჯიშები, ის განსაკუთრებული ატმოსფერო, როგორიც მატჩების მსვლელობისას სტადიონზე სუფევს ხოლმე. უფეხბურთოდ მოწყენილი ვარ; თუ მთლად დავითრგუნები, შეიძლება სულაც რომელიმე მეორეხარისხოვან გუნდს დავუყაბულდე; ოღონდ საბერძნეთში — ნურას უკაცრავად...

● *მაშ, სად? უკრაინაში?*

— არა, ევროპაში. არის რამდენიმე ვარიანტი, ოღონდ ჯერ მათზე საუბარი ნაადრევია.

● *მაშასადამე, მეუღლისაგან კიდევ უფრო შორს... მითხარით, არ ეჭვიანობს თქვენზე ირინა დერიუგინა?*

— იგი მე მენდობა, მე კიდევ — მას.

● *ფეხბურთს მივუბრუნდეთ. კიევის „დინამოში“ თქვენ ნამდვილი ლიდერი იყავით მოთამაშეთა შორის, მაგრამ იქ მეორე ტუზიც იყო — უფროსი მწვრთნელი ვალერი ლობანოვსკი. ამბობენ, რომ ხშირად არკვევდით ურთიერთობებს.*

— მერე რა?! ვალერი ვასილევიჩი ისე გვაცლიდა საწვრთნელ ვარჯიშებზე სიქას, რომ თვალები გვიბნელდებოდა. ვთხოვდი, ეგებ დატვირთვები შეგვიმსუბუქოთ-მეთქი, ის კი ყურსაც არ იბერტყავდა. ხდებოდა, რომ ბიჭები ველარ უძლებდნენ, სმას აიტეხდნენ და ბაზაზე ბანცალით ბრუნდებოდნენ; გამონაკლისი არც მე გახლდით; არ დაიჯერებთ და, ლობანოვსკი ხშირად გვაპატიებდა ხოლმე!..

ახლა, როცა თავად გავხდი მწვრთნელი, ბევრ რამეს სხვაგვარად აღვიქვამ და ვხვდები, რომ ზოგ შემთხვევაში თურმე ტყუილად ვბრაზობდი ლობანოვსკიზე.

● *მსმენია, ჟურნალისტების მოხყიდვა მწვრთნელებისთვის ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა.*

— ასეა. ფულს უხდიან იმაში, რომ მათზე ცუდი არ დაწერონ. არის თავისებური მწვრთნელთა მაფიაც; თუ კაცი ფეხბურთში სუსტად ერკვევა, მაგრამ ბერძენია, მისცემენ სამუშაოს, უფრო ნიჭიერ უცხოელს კი უარით გაისტუმრებენ.

● *„ჩაწყობილი“ თამაშები თუ არის ბერძნულ ფეხბურთში?*

— როგორ არა!

● *თქვენს გუნდებს თუ შეეხო ეს?*

— ჰმ... ხანდახან მატჩის ყიდვის წინადადებით მწვრთნელს კი არ მიმართავენ, როცა იციან, რომ ფულს არ აიღებს, არამედ, ცალკეულ მოთამაშეებს.

იხ. მე-4 გვ.

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

ლევერკუზენზე ფიქრით

დინამო (საქართველო) – კრუზეიდერსი (ჩრ. ირლანდია) 5–1

დინამო (თბილისი): *ზოიძე, კალაძე, დიდავა, მაჭავარიანი (ალექსიძე, 8), ჩხაიძე, გოგიჩაიშვილი (კვარაცხელია, 78), კიკნაძე, ცქიტიშვილი, ანჩაბაძე, მუჯირი (ხომერიკი, 78), იაშვილი.*

კრუზეიდერსი: *გრანტი, ლოულორი (დუაიერი, 46), მაკმილანი, უოქერი, დანლოპი, გალაგენი, დიგანი, ობრაიენი (კ. ჰანტერი, 73), არტური (მორგანი, 73), გ. ჰანტერი, ბაქსტერი.*

გოლი: *იაშვილი (21, 34), მუჯირი (45, 60), გ. ჰანტერი (58), ხომერიკი (80).*

გაფრთხილება: *ლოულორი, უოქერი, გრანტი.* ***გაძევება:*** *ბაქსტერი, ანჩაბაძე.*

მსაჯი: *ა. ხაქარი (თურქეთი).*

ამ შეხვედრას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ის ანიჭებდა, რომ ლევერკუზენის „ბაიერთან“ მატჩის წინ კარგად გვენახა დინამოელთა პოტენციალი. მაგრამ „კრუზეიდერსი“ ისეთი გუნდი აღმოჩნდა, რომელსაც, როგორც სპარინგ-პარტნიორს, ბევრად აჯობებს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის რამდენიმე გუნდი. ჩრდილოეთირლანდიელებმა ვერც ბრიტანული ფეხბურთისათვის დამახასიათებელი რაიმე ნიშან-თვისება გვიჩვენეს და მხოლოდ ანტიფეხბურთი შემოგვთავაზეს. მაგრამ მატჩზე მოსულ გულშემატკივრებს ნამდვილად არ მოუწყენიათ, რადგან გოლებიც უხვად იხილეს (მათ შორის ეფექტურიც) და მეტოქე-ფეხბურთელებს შორის გაწევ-გამოწევაც. სამწუხაროდ, ბრიტანელთა პროვოკაციებს ადვილად „წამოეგო“ ანჩაბაძე და გერმანელთა წინააღმდეგ მომავალ მატჩში უგამთამაშებლოდ დატოვა „დინამო“.

თამაშის დებიუტში დინამოელთა ტერიტორიულ უპირატესობას სიმწვავე აშკარად აკლდა და სტუმართა ერთ-ერთ კონტრშეტევას ლამის ანგარიშის გახსნაც მოჰყვა, მაგრამ გ. ჰანტერმა ახლო მანძილიდან არაზუსტად დაარტყა. მასპინძელთა მხრივ კი, როგორც მოსალოდნელი გახლდათ, ლიდერობა გოგიჩაიშვილმა ითავა – რამდენიმე მწვავე გარღვევა განახორციელა და ერთ-ერთ ასეთ შეტევაზე კარგად შენიშნა მარცხენა ფლანგზე ალექსიძე, გადააწოდა ბურთი მას, ამ უკანასკნელმა კი ძლიერი დარტყმით გაგზავნა ბურთი სტუმართა კარის გასწვრივ და იაშვილსაც შანსი ხელიდან არ გაუშვია. იაშვილის მეორე გოლმა კი საბოლოო გარდატეხა შეიტანა თამაშში, ხოლო მესამე ბურთი, რომელიც მუჯირმა გაიტანა, მეტად ეფექტური გამოდგა და დინამოს გულშემატკივრებს ახალი ვარსკვლავის მოვლინების იმედიც ჩაუსახა.

მეორე ტაიმში სტუმრები კიდევ უფრო უბადრუკად გამოიყურებოდნენ. თუმცა ერთი ბურთის გაქითვა მაინც მოახერხეს, როცა ჩვენი დაცვისა და მეკარის პოზიციური შეცდომით ისარგებლა გ. ჰანტერმა. მაგრამ, ცოტა ხანში შეცვლაზე შემოსულმა ხომერიკმა, კარგად ისარგებლა ალექსიძის ბრწყინვალე პასით და ჰანტერის მსგავსად ოსტატურად გადაუგდო ბურთი თავზე გრანტს.

მიუხედავად ასეთი დამაჯერებელი გამარჯვებისა, დინამოელთა თამაში ცალსახად დადებით შეფასებას მაინც არ იმსახურებს. ჩვენი ფეხბურთელები ბევრ და უხეშ შეცდომებს უშვებდნენ, განსაკუთრებით კი დაცვაში, სადაც გამოკვეთილი ლიდერი არ გვყავს; შეტევებსაც ქაოტური ხასიათი ჰქონდა. ყველაფერ ამას კი ბუნდესლიგის მეორე გუნდი ნამდვილად არ გვაპატიებს. თუმცა „ნათელი წერტილების“ არდანახვაც არ შეიძლება, კერძოდ 19 წლის დავით მუჯირის უკომპლექსო, მონდომებული, ამავე დროს გააზრებული თამაში და ასევე 19 წლის რატი ალექსიძის აქტიურობა, რომელმაც რამდენიმე საჰაერო ორთაბრძოლაც კი მოუგო ბრიტანელებს. მაგრამ, თუ ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობა გვსურს, გუნდს აშკარად ესაჭიროება კარდინალური ცვლილებები და შემადგენლობის გაძლიერება. მოკლედ „დინამოს“ მთავარ მწვრთნელ დავით ყიფიანთან ბევრი აქტუალური კითხვა კი დაგვიგროვდა, მაგრამ ბატონი დავითი, ალბათ, თავისებური ასკეტიზმის იდეით არის შეპყრობილი (რაც ჩვენი ეროვნული ნაკრების ბოლოდროინდელ წარუმატებლობებს უნდა მივაწეროთ) და პრესასთან ურთიერთობა არც ამჯერად მოისურვა.

დათო თავართქილაძე



მომენტი განვლილი მატჩიდან – შეტევაზეა თბილისელთა ფორვარდი ალექსანდრე იაშვილი (ზოლებიან მაისურში), რომელმაც ორი გოლი გაიტანა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

უეფას თასი

მოგება... წაგების ტოლფასი

ფოთის „კოლხეთი-1913“-ის გუნდმა პირველი უეფას თასის პირველი შესარჩევი წრის განმეორებით მატჩში მინსკის „დინამოს“ უმასპინძლა და დაამარცხა 2-1, თუმცა ეს შემდეგ ეტაპზე გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა.

„კოლხეთი-1913“: *ი. გვასალია, მიქაბერიძე, ტორჩინავა, გოროზია, ხვადაგიანი, მონასელიძე (მახარაძე), ე. გვასალია, ფანჩულიძე (ღლანიძე), დარასელია, ქებაძე, ქობულაძე.*

დინამო: *ევნევიჩი, შილო, ტარლოვსკი (მიშჩიშინი), დოვნარი, იასკოვიჩი, გურაველი, ჩერნიავსკი, ვოლოდენკოვი (მაკარენკო), პოდრეზი, მ. მაკოვსკი (ლაგოდიჩი), ვ. მაკოვსკი.*

გოლები: *0-1 ვ. მაკოვსკი (18), 1-1 მიქაბერიძე (38), 2-1 ღლანიძე.*

გააფრთხილეს: *ტარლოვსკი, ჩერნიავსკი, ფანჩულიძე, ღლანიძე, გოროზია.*

მსაჯი: *ვ. ბუტენკო (რუსეთი)*

* * *

ინტერტოტოს თასი

ნახევარფინალური ეტაპის საპასუხო მატჩები

ბასტია (საფრანგეთი) – ჰამბურგი (გერმანია) 1-1 დ.დ. (1-0)

ჰალმშტადი (შვედეთი) – ლოკომოტივი (ნ.ნ., რუსეთი) 1-0 (0-0)

მონპელიე (საფრანგეთი) – კიოლნი (გერმანია) 1-0 (1-2)

ლიონი (საფრანგეთი) – ისტამბულსპორი (თურქეთი) 2-0 (1-2)

დუისბურგი (გერმანია) – დინამო (მ., რუსეთი) 3-1 (2-2)

ტორპედო (მ. რუსეთი) – ოსერი (საფრანგეთი) 4-1 (0-3)

სხვა მატჩები | ჩემპიონთა ლიგა | უეფას თასი

ჩემპიონთა ლიგა

პირველი შესარჩევი წრის საპასუხო მატჩები

დინამო (თბილისი) – კრუზეიდერსი (ჩრ.ირლანდია) 5-1 (3-1)

აკრანესი (ისლანდია) – **კოშიცე (სლოვაკეთი)** 0-1 (0-3)

ტოტი (42)

ბერი თაუნი (უელსი) – **დინამო (უკრაინა)** 0-4 (0-2)

ბელკევიჩიჩი (53), მაქსიმოვი (67,78), ვაშჩუკი (80)

გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) – გოტუ (ფარერები) 6-0 (5-0)

დიური (22), ნეგრი (42, 90), მაკკოისტი (48), ალბერტცი (58), ფერგიუსონი (84).

მტკ (უნგრეთი) – პიუნიკი (სომხეთი) 4-3 (2-3)

1-0 ილეში (18), 2-0 ჰალმაი (41), 3-0 პრაისინგერი (46), 4-0 კუტორი (74), 4-1 სანამიანი (81), 4-2 შახგელდიანი (85); 4-3 სანამიანი (86)

კროაცია (ხორვატია) – პარტიზანი (იუგოსლავია) 5-0 (0-1), მარიჩი (13,42), ცვიტანოვიჩი (5,60), ვიდუკა (24).

მარიბორ ბრანიკი (სლოვენია) – დერი სიტი (ირლანდია) 1-0 (2-0) დრობნე

ვიძევი (პოლონეთი) – ნეფთჩი (აზერბაიჯანი) 8-0 (2-0)

შარპაკი (3,70 პენ, 76), კობილიანსკი (8), ზაიაცი (15), დემბინსკი (25,30), კურტიანუ (68)

ცსკა (ბულგარეთი) – **სტიაუა (რუმინეთი)** 0-2 (3-3)

სერბანი (35), რეჯენკამფი (49)

სკონტო (ლატვია) – ვალეტა (მალტა) 2-0 (0-1)

ასტაფიევი (14), მიხოლაპი (26)

კარედა (ლიტვა) – **ათორთოსისი (კვიპროსი)** 1-1 (0-3)

0-1 მიხასალოვიჩი (16), 1-1 მიკალაუნასი (22)

ჟენეს ეში (ლუქსემბურგი) – **სიონი (შვეიცარია)** 0-1 (0-4)

ზამბაზი (88)

ჯაზი (ფინეთი) – ლანტანა (ესტონეთი) 1-0 (2-0)

მარკო (65)

მპკც (ბელარუსი) – კონსტრუქტორული (მოლდოვა) 3-2 (1-1)

1-0 დენისიუკი (7), 1-1 ოლესკა (32), 2-1 ლევან ბერიშვილი (53), 2-2 კომლიონოკი (67), 3-2 კუშნირი (69).

ბეითარი (ისრაელი) – სილექსი (მაკედონია) 3-0 (0-1), სალოი (5), ოჰანა (35), ჰამარი (56)

შესარჩევი წრის წყვილები

ბაიერი (ლევერკუზენი, გერმანია) – დინამო (თბ.,. საქართველო)

კოშიცე (სლოვაკეთი) – სპარტაკი (მ., რუსეთი)

მტკ (უნგრეთი) – რუსენბორგი (ნორვეგია)

ბეშიქტაში (თურქეთი) – მარიბორი (სლოვენია)

სიონი (შვეიცარია) – გალათასარაი (თურქეთი)

ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) – მპკც (ბელარუსი)

ზალცბურგი (ავსტრია) – სპარტა (ჩეხეთი)

გოტებორგი (შვედეთი) – გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია)

ბარსელონა (ესპანეთი) – სკონტო (ლატვია)

ბრონდბიუ (დანია) – დინამო (კ., უკრაინა)

ნიუკასლი (ინგლისი) – კროაცია (ხორვატია)

ფეიენოორდი (ჰოლანდია) – ჯაზი (ფინეთი)

სტიაუა (რუმინეთი) – პსჟ (საფრანგეთი)

ვიძევი (პოლონეთი) – პარმა (იტალია)

ბეითარი (ისრაელი) – სპორტინგი (პორტუგალია)

ანორთოსისი (კვიპროსი) – ლიერსი (ბელგია)

მატჩები 13 და 27 აგვისტოს გაიმართება

უეფას თასი

პირველი შესარჩევი წრის საპასუხო მატჩები

კოლხეთი-1913 (საქართველო) – **დინამო (ბელარუსი)** 2-1 (0-1)

სელტიკი (შოტლანდია) – ინტერი (უელსი) 5-0

ტომი (19, პენ.), ჯექსონი (42), ჯონსონი (45), ჰანა (63), ჰეი (85)

ჰაიდუკი (ხორვატია) – გრევენმახერი (ლუქსემბურგი) 2-0 (4-1), ბულატი (60), ჰერცეგი (90)

ფერენცვაროში (უნგრეთი) – ბოჰემიანსი (ირლანდია) 5-0 (1-0)

ალბერტი (15), იაგოდიში (47,74), შულცი (58), ზავადსკი (71)

აპოლონი (კვიპროსი) – მიუპა (ფინეთი) 3-0 (1-1)

მლადენოვიჩი (54), ცოლაკისი (58), პიტასი (82)

პობედა (მაკედონია) – **ოდრია (პოლონეთი)** 2-1 (0-3)

0-1 ზაგორსკი (18), 1-1, 2-1 და კოშტა (83,87)

ერევანი (სომხეთი) – **დნეპრი (უკრაინა)** 0-2 (1-6)

გეცკო (41), ბელკინი (89)

დინამო (რუმინეთი) – **რეიკიავიკი (ისლანდია)** 1-2 (0-2)

0-1, 0-2 დადასონი (12,22), 1-2 ჩირიტა (42)

ოცელული (რუმინეთი) – **ბორიცა (სლოვენია)** 4-2 (0-2)

1-0, 2-0 სტეფანი (20,27), 3-0 სტატე (63), 4-0 ვიორელი (75), 4-1 პროტეჯ (88), 4-2 დემიროვიჩი (90)

ფლორა (ესტონეთი) – **ჰაპოელი (ფ.ტ., ისრაელი)** 1-2 (0-1)

1-0 ოპერი (17), 1-1 ოპრი (46), 1-2 სკაკუნი (63)

ბოზი (ჩეხეთი) – ინკარასი (ლიტვა) 6-1 (1-3)

1-0 ხალუპკა (7), 2-0 ვალნოსა (15), 2-1 ბაკუსი (16), 3-1 ჰოლომეკი (25), 4-1 ხალუპკა (50), 5-1 ვალნოხა (54), 6-1 კოლომაცნიკი (63)

ვორსკლა (უკრაინა) – დაუგავა (ლატვია) 2-0 (3-1)

1-0 შიშენკო (30), 1-1 ვუცანსი (49), 2-1 ანტიუხინი (58)

ყარაბაღი (აზერბაიჯანი) – **იაბლონეცი (ჩეხეთი)** 0-3 (0-5)

პროხაზკა (73), ჰოლუბი (80), ჰუკოლი (87)

სპარტაკი (სლოვაკეთი) – ბირკირკარა (მალტა) 3-1 (1-0)

1-0 ტიმკო (30), 2-0 ჰადვიგერი (45), 2-1 გალეა (86), 3-1 ფორმანკო (88)

ტილიგული (მოლდოვა) – **ძსამაძსი (შვეიცარია)** 1-3 (0-7)

0-1 სანჯაკი (11), 1-1 ლუკიანჩიკოვი (14), 1-2 მარტინი (28), 1-3 ჟენე (80)

ვიკინგი (ნორვეგია) – ვოივოდინა (იუგოსლავია) 0-2 (2-0), პენ. 5-4, 0-1, 0-2 ვულევიჩი (4,88)

კლაკსვიკარი (ფარერები) – **უიპეშტი (უნგრეთი)** 2-3 (0-6)

1-0 დანიელსენი (14), 1-1 ცანიო (39), 2-1 მორკორე (73), 2-2,2-3 - სებოკი (77,89)

ნეფტოხიმიკი (ბულგარეთი) – **ბრანი (ნორვეგია)** 3-2 (1-2)

1-0 ტრენდაფილოვი (10), 2-0 პარუშევი (26), 2-1 ჰარტსმენი (60), 3-1 კისელიჩკოვი (72), 3-2 ჰარტსმუნი (82)

კოლრეინი (ჩრ. ირლანდია) – **გრასჰოპერსი (შვეიცარია)** 1-7 (0-3)

0-1 მანინი (15), 1-1 ო, დოუდი (22), 1-2 ესპოზიტო (27) 1-3 აჰინფული (33), 1-4 შილზი (51, საკ. კარში), 1-5 ტიკვა (63),

1-6 იაკინი (64), 1-7 ესპინელი (83, საკ. კარში)

დანდი იუნაიტედი (შოტლანდია) – პრინციპატი (ანდორა) 9-0 (8-0)

მაკსვიგანი (8,24,65), ვინტერსი (23,42), მაკლარენი (37) ოლაფსონი (55), ზეტერლენდი (59), ტომპსონი (88).

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები გაიმართება 12 და 26 აგვისტოს.

შენიშვნა: *ფრჩხილებში მოცემულია პირველი მატჩის შედეგი, გამოყოფილია გუნდები, რომლებიც შემდეგ ეტაპზე გავიდნენ.*

პრინციპული და გულახდილი გლოხინი

[illegible]

მე არავის მოვუსყიდივარ და სხვების განსჯას ვერ შევუდგები...

● ***თამაშის დროს თუ გამწარებულხართ?***

— ხიმწიფის ასაკში — ორჯერ. შვედურ კლუბ „მალმიოსთან“ თამაშისას ერთმა „ძვალთმტვრეველმა“ ისე მხეთქა მუხლში, რომ მზად ვიყავი ხიმწრისგან ცხვირი მიწაში ჩამერგო. ჯოჯოხეთურმა ტკივილმა ამიტანა, ცრემლები ღაპაღუპით წამომცვივდა... მეორედ კი — მშობლიურ „დინამოში“ გამოსათხოვარი მატჩის დროს ვტიროდი; იქნებ ოდესმე დავუბრუნდე მას...

მოამზადა
თამაზ ებანოიძემ

ახალი ამბები

„ნიუკასლი“ ვეტერანის იმედითაა

მას შემდეგ, რაც ერთი კვირის წინ ალან შირერმა მძიმე ტრავმა მიიღო „ნიუკასლის“ ხელმძღვანელობა გაწამაწიაშია, რადგან გუნდის მეორე წამყვანი ფორვარდი ლეს ფერდინანდი, სანამ შირერი დაშავდებოდა „ნიუკასლმა“ „ტოტენჰემ ჰოტსპურს“ დაუთმო, რის შედეგადაც ქებაის გუნდი ფაქტიურად უთავდამსხმელოდ დარჩა. ამიტომ „ნიუკასლმა“ გადაწყვიტა აღარ გაეშვა „ბოლტონში“ თავისი ვეტერანი ფორვარდი პიტერ ბერდსლი, რომელიც ერთ დროს ინგლისის ეროვნულ ნაკრებშიც გამოდიოდა და ახლა დიდ იმედებსაც ამყარებენ ამ 36 წლის თავდამსხმელზე.

ბულგარელის ნაცვლად ავსტრალიელი

საფრანგეთის „ოსერის“ ავსტრალიელი ნახევარმცველი ნედ ზელიჩი ვენის „რაპიდში“ გადავიდა ერთი წლით. ზელიჩი ადრე „ბორუსიაში“ (დორტმუნდი), „ქუინს პარკ რეინჯერსში“ (ინგლისი) და „აინტრახტში“ (გერმანია) გამოდიოდა. ხოლო ბულგარელმა მცველმა ტრიფონ ივანოვმა აღარ მოისურვა ვენის „რაპიდში“ თამაში და ამავე ქალაქის მეორე გუნდს „აუსტრიას“ მიაშურა.

„აიაქსის" დანიური კლანი

მიქაელ ლაუდრუპი და ...

ტანდემი: მიქაელ ლაუდრუპი – შოთა არველაძე

უკვე რამდენი წელია, რაც დანია ამაყობს ძმები ლაუდრუპებით, საამაყო, იცოცხლეთ, აქვთ, ეს ის ფეხბურთელებია, ვინც ეროვნულ სპორტს დიდი სახელი შესძინა, უმკაცრესი კონკურენციის პირობებში მსოფლიოს უძლიერეს ოსტატთა შორის სახელი აქვთ.

ბევრი დაწერილა სპორტული ოჯახების შესახებ. ლაუდრუპების მშობლებმაც სწორედ ასეთი წყვილი შეადგინეს. მამა, ფილ ლაუდრუპი, შეიძლება თავის ვაჟებს ვერ შეედრებოდა, მაგრამ დანიაში ფართოდ ცნობილი ფეხბურთელი იყო, დიახ, დიახ, ყველაზე უფრო მაღალი, ნაკრების დონისა. ამაზე მეტყველებს მის მიერ ქვეყნის №1 გუნდში ჩატარებული 21 მატჩი. აქ ისიც გავითვალისწინოთ, რომ ახლანდელთან განსხვავებით, მის დროს ნაკრები საკმაოდ ცოტას თამაშობდა და ევროპელ გულშემატკივრებს, ფილი, ეტყობა, ნაკლებად ახსოვთ. რა თქმა უნდა, ეს სპორტის ისტორიკოსებსა და ჟურნალისტებზე არ ითქმის. გავიხსენოთ ცნობილი გამოთქმაც: სტატისტიკამ ყველაფერი იცის! დედა დანიაში კარგად ცნობილი ხელბურთელი იყო, თამაშობდა მიქაელის დაბადებამდე (1964 წ. 15 ივნისი). ისე რომ, პატარა ბიჭს არჩევანი ჰქონოდა, ფეხბურთელი გამხდარიყო, თუ ხელბურთელი, როგორც თვითონ განაცხადა, ხელბურთი ერჩივნა, მაგრამ მამას წინაალმდეგობა ვერ გაუწია, როცა მან „ბრონდბიუს" ბავშვთა სკოლაში მიიყვანა. დედის გენებმა კი იმაში იჩინა თავი, რომ ფეხბურთის თამაშში მიქაელი წამდაუწუმ ცდილობდა ბურთისათვის ხელი წაეტანებინა, რასაც, რის ვაი ვაგლახით გადაეჩვია.

ყმაწვილი ლაუდრუპი მთელ 5 წელიწადს (1974-79) „ბრონდბიუს" ბავშვთა გუნდში თამაშობდა, ოჯახურ ტრადიციას ის საყოველთაო აჟიოტაჟიც ემატებოდა, რომლითაც დანიის ფეხბურთის ქომაგები გაიმსჭვალნენ. ისინი თვლიდნენ, რომ არ არსებობდა ისეთი საფეხბურთო სიმაგრე, რომლის აღებაც დანიელებს არ შეეძლოთ, გნებავთ ევროპაში, გნებავთ მსოფლიოში. ასეთი სულისკვეთებით იზრდებოდა დანიელ ფეხბურთელთა ახალი თაობა, სწორედ ამას უქადაგებდნენ მათ მწვრთნელები. მიქაელი 1980-81 წლებში „ბკ კოპენჰაგენში" გამოდიოდა და უკვე ქვეყნის პირველობაზე თამაშობდა, 1981-83 წლებში კი კვლავ მშობლიურ „ბრონდბიუში". მიქაელის „სწავლების წლები" კი იმით დასრულდა, რომ, 18 წლის ჭაბუკი დანიის №1 ფეხბურთელად აღიარეს. ეს, თუ გნებავთ, სრულიად განსაკუთრებული ფაქტი გახლავთ. სად და ვის ასახელებენ ასეთ ასაკში ქვეყნის საუკეთესოდ? კიდევაც რომ ყოფილიყო აქ მცირეოდენი „ავანსი", თვით ფაქტი მეტად ჯიუტი იყო.

დანიელ ოსტატებს, მოგეხსენებათ, ყოველთვის დიდი სახელი ჰქონდათ და ასეთი ახალი კაშკაშა ვარსკვლავის გამოჩენა ევროპის წამყვან კლუბებს აკი არც გამოეპარათ. და აი, მოკრძალებული „ბრონდბიუს" მესვეურები, ლამის არის, მეტისმეტად გაამაყდნენ. ხან ვისგან იღებდნენ წინადადებას და ხან ვისგან. ლაპარაკი, ცხადია, მხოლოდ ლაუდრუპზე იყო. იმ კლუბებს შორის, ვისაც მიქაელის გადაბირება სურდა, ორს მაინც განსაკუთრებით დიდი სახელი ჰქონდა: ტურინის „იუვენტუსსა" და „ბარსელონას". ეს, მოგეხსენებათ, ის კლუბებია, რომელთა გამოსვლა ეროვნულ პირველობაზე, ვთქვათ, თუნდაც მეორე ადგილზე, დიდ მარცხად ითვლება, დიდ ტრაგედიებთან და პერსონალურ გადაადგილებებთან არის დაკავშირებული. „ბრონდბიუმ" იფიქრა, იფიქრა და მაინც ლაუდრუპის „იუვენტუსში" გადაყვანა ამჯობინა. შეიძლება ეს თვით ფეხბურთელისათვის არ იყო საუკეთესო გადაწყვეტილება, და, აი, რატომ...

მოხდა ის, რაც მდიდარ და ხარბ კლუბებში საკმაოდ ხშირად ხდება ხოლმე. დიახ, 19 წლის მიქაელ ლაუდრუპი ტურინში აღმოჩნდა, მაგრამ „იუვენტუსში" უცხოელთა სამი ადგილი მტკიცედ იყო დაკავებული (მაშინ ბოსმანი პატარა ბიჭი იყო და თავისი რეფორმა ჯერაც არ ჰქონდა მოფიქრებული). სათადარიგოთა სკამზე მოკლე დროით ყოფნა, შეიძლება აუცილებელიც იყოს, მაგრამ, როცა იგი ძალიან იჭიმება, შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს სპორტსმენს. ამ მხრივ „იუვენტუსი" მაინც საზრიანად მოიქცა, რათა ნიჭიერი ახალგაზრდა ძალიან არ შეეფერხებინა, ადგა და იგი ორი წლის რომის „ლაციოს" ათხოვა. ამით ყველა კმაყოფილი დარჩა: „იუვენტუსიც", რომელმაც გარკვეული თანხა მიიღო (აბა, მდიდრებმა იციან ფულის ყადრი, თუ იციან!), რომაელებიც, რომლებსაც ახალგაზრდა დანიელი ძალიან გამოადგათ, და, ლაუდრუპიც, რომელიც ამასობაში თავისებურ და მკაცრ იტალიურ ფეხბურთს აშკარად გაუშინაურდა. ისე რომ, როცა ორი სეზონის შემდეგ „იუვენტუსმა" დანიელი თავდამსხმელი დაიბრუნა, მისთვის ადგილი ძირითად შემადგენლობაში უკვე გარანტირებული იყო — ლაუდრუპმა დიდი სახელი მოიხვეჭა.

რამდენადმე უფრო ადრე, 1982 წლის 15 ივნისს (ზუსტად 18 წლისა რომ გახდა) ლაუდრუპს დებიუტი ჰქონდა დანიის ნაკრებში. ამ დღიდან მოყოლებული, მრავალი სეზონის განმავლობაში, იგი ამ გუნდში წამყვანი ფიგურა გახდა. 1984 წელს, 20 წლისამ ევროპის ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა, მომდევნო წელს კიდევ ერთხელ აღიარეს დანიის №1 ფეხბურთელად, 1986 წელს კი პირველად ითამაშა მსოფლიო პირველობაზე.

მას შემდეგ, რაც „იუვენტუსში" დაბრუნდა, „ბებერ ქალბატონს" უკვე ორი დირიჟორი ჰყავდა: მიშელ პლატინი და



მიქაელ ლაუდრუპი

მიქაელ ლაუდრუპი. ამასთან, პლატინი (სწორედ ამ დროს შემოვიდა გამოთქმა „პლატინისიმო" უაღრესად ნატიფი სამუშაოს აღსანიშნავად) სულაც არ უყურებდა თავის ახალგაზრდა პარტნიორს ქედმაღლურად, პირიქით, პატრონობდა და ამხნევებდა მას. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ამ წლებში „იუვენტუსთან" საერთოდ შეუძლებელი იყო თამაში, იგებდა ყველა შეჯიბრებას, სადაც კი მონაწილეობდა (ეს მიღწევა ტურინელებმა კინაღამ 1996-97 წლების სეზონში გაიმეორეს, მაგრამ...), „სკუდეტოს" (იტალიის ჩემპიონობას) ჩემპიონთა თასზე გამარჯვებაც დაემატა, შემდეგ კი უაღრესად პრესტიჟული საკონტინენტთაშორისო თასიც. ამასთან, ამ უკანასკნელ შეჯიბრებაში თავი განსაკუთრებით მიქაელმა გამოიჩინა. არგენტინის „ხუნიორსთან" შეხვედრაში იტალიის ჩემპიონს დიდი არაფერი გამოსდიოდა. არგენტინელებმა გახსნეს ანგარიში და მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან. შეუპოვარმა ლაუდრუპმა მაინც შეძლო საპასუხო გოლის გატანა, ხოლო შემდეგ პენალტების სერიით გამარჯვება „იუვეს" დარჩა.

დიდ ფეხბურთელებთან მუშაობა რომ ძნელია, ეს საყოველთაოდაა აღიარებული მას შემდეგ, რაც დანიის ნაკრებს სათავეში გამოჩენილი გერმანელი მწვრთნელი (დედით დანიელი) ზეპ პიონტეკი ჩაუდგა სათავეში, მიქაელ ლაუდრუპს რაღაცა არ მოეწონა. ამ მხრივ მისი უმცროსი ძმა ბრაიანი უფრო მომთმენი და „კომუნიკაბელური" აღმოჩნდა. ზეპ პიონტეკი ბრწყინვალედ ხელმძღვანელობდა დანიის ნაკრებს, მაგრამ უფროს ლაუდრუპთან ურთიერთობა ვერ დაამყარა. საქმე ის არის, რომ, როცა მიქაელი პიონტეკს დაუპირისპირდა, იგი ძმასაც ხანდახან აიყოლიებდა ხოლმე. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ უფროსმა ძმამ ნაკრების კარები კარგა გვარიანად „გამოიჯახუნა". მაშინ მას ნაკრებში 33 მატჩი ჰქონდა ჩატარებული და 19 გოლიც გატანილი. მაშინ დანიელთა „ვეტერანი" 22 წლის იყო! რამდენს არ ეხვეწნენ, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

1992 წელს საფეხბურთო საქმეებში მკვეთრად ჩაერია პოლიტიკა. ევროპის ჩემპიონატის წინ, რომელშიც თამაშის უფლება დანიელებმა ვერ მოიპოვეს, ფინალში არ დაუშვეს პირველი ადგილის ერთ-ერთი ძირითადი პრეტენდენტი — იუგოსლავიის ნაკრები. გამართლებაც ამას ჰქვია — განთავისუფლებული ადგილი უეფამ დანიელებს დაუთმო. დაიწყო მიქაელ ლაუდრუპთან შუამავლების მიგზავნა, ბოლოს და ბოლოს, ისეთი რა გეწყინაო, მაგრამ მან ნაკრებში დაბრუნება არ ისურვა, ბრაიანი კი შვეციაში გაემგზავრა, სადაც ევროპის ჩემპიონატი დამთავრდა... დანიელების გამარჯვებით!

„იუვენტუსიდან" მიქაელ ლაუდრუპი „ბარსელონაში" გადავიდა, იმ გუნდში, რომელიც მას ჯერ კიდევ ჭაბუკობის დროს უხმობდა. აი აქ კი უცნაური სიტუაცია შეიქმნა, დაახლოებით ისეთი, როგორიც ათი წლის წინათ ტურინელთა კლუბში. საქმე ის არის, რომ ევროპის (და მსოფლიოს!) ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელისათვის ძირითად შემადგენლობაში ადგილი... არ აღმოჩნდა! (ბოსმანს, შეიძლება, ამ დროისათვის თავისი რეფორმები მოფიქრებული კი ჰქონდა, მაგრამ საიდუმლოდ ინახავდა). მაინც ვინ იყო ასეთი იოჰან კრუიფის განკარგულებაში, განთქმულ დანიელს რომ გასაქანი არ მისცა?! რონალდ კუმანს ხომ უნდა ეთამაშა დაცვის ორგანიზატორისა და საჯარიმო დარტყმების უბადლო შემსრულებელს, ვინ გაუბედავდა უარს ხრისტო სტოიჩკოვს, რომელიც ამ წლებში თავისი დიდების ზენიტში იყო და შეეძლო მწვრთნელისათვის დიდი აყალმაყალი აეტეხა. რომარიოზე ხომ აღარ იყო ლაპარაკი. ასეთ პირობებში კრუიფი უფრო ლაუდრუპს „იბრიყვებდა", არადა, ეს საუკეთესო ფეხბურთელი საიდან არ იღებდა მიწვევას. კრუიფმა მშვენივრად იცოდა, რომ ლაუდრუპის გაყიდვით ესპანეთის ნებისმიერ კლუბს მეტისმეტად გააძლიერებდა და, მაშინ ყველაფერი „შემოუტრიალდებოდა". გააჭიანურა მისი გაყიდვა, მაგრამ ბოლოს საქმე ისე წარიმართა, რომ დანიელი „ვარსკვლავი" სწორედ მადრიდის „რეალში" აღმოჩნდა. შესაძლოა კრუიფი თვლიდა, რომ ამ დროისათვის „რეალს" მაინც უჭირდა „ბარსელონასთან" კონკურენცია, ასე ერთბაშად „სამეფო კლუბი" ვერ შეძლებდა მდგომარეობის გამოსწორებას. ახალმა მწვრთნელმა, არგენტინელმა ხორხე ვალდანომ გამოასწორა და თანაც როგორ! სწორედ ამ მწვრთნელის „წყალობით" იყო, რომ პროვინციულმა „ტენერიფემ" „რეალს" ორჯერ ჩემპიონობა დააკარგვინა, მაინცდამაინც ბოლო ტურში მოუგო. ახლა ვალდანო უკვე „რეალის" მწვრთნელი გახდა და პირველივე 1994-95 წლების სეზონშივე ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწია.

„რეალის" შემადგენლობა გადახალისდა, გაცილებით უკეთ დაიწყო თამაში ჩილელმა ივან სამორანომ, მეტად ენერგიულმა, და, თუ გნებავთ, იღბლიანმა ცენტრფორვარდმა, მასთან ერთად ვალდანომ ძირითად შემადგენლობაში დააწინაურა მადრიდის „ატლეტიკოდან" გადმოყვანილი 17 წლის რაულ გონსალეს ბლანკო, ანუ, უბრალოდ, რაული.

„მესამე ლიგაა თუ პირველი, აქ ერთსა და იგივე თამაშს თამაშობენ, რომელსაც ფეხბურთი ჰქვია. ისე რომ, ნუ ღელავ, გამოდი მინდორზე და ყველას აჩვენე, რაც შეგიძლია" — ასე დაარიგა ხორხე ვალდანომ რაული.

ამასთან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დარიგებებსაც, რომელსაც ჭაბუკი თავდამსხმელი ლაუდრუპისაგან უშუალოდ მინდორზე იღებდა. ხან სამორანოს უქმნიდა ხელსაყრელ მომენტს, ხან რაულს, ხან აგრესიულ, შეუპოვარ ნახევარმცველებს. ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ ჩემპიონატის დამთავრებამდე რამდენიმე ტურით ადრე ნათელი გახდა, რომ „სამეფო კლუბმა" აღიდგინა დაკარგული პოზიციები. როგორი იყო ამ საქმეში მრავალნაცადი მიქაელ ლაუდრუპის დამსახურება? უდავოდ, თვალსაჩინო!

და კიდევ ერთი სიახლე — 30 წლის მიქაელ ლაუდრუპმა გადაწყვიტა ნაკრებს დაბრუნებოდა. რატომ დაკარგა მან ამდენი წელი, სინამდვილე არავინ იცის. მაგრამ უმეტესად მის სიჯიუტეს ასახელებენ. ძმებმა ლაუდრუპებმა ჩინებულად ითამაშეს ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში, ნაკრები ფინალში გავიდა, რაც მისი ძალის კიდევ ერთი, ახალი დადასტურება იყო.

უკანასკნელ ხანებში მიქაელ ლაუდრუპი, იაპონიის „ვისელ კობეში" თამაშობდა. ხომ არ მოასწავებდა ეს ამბავი უკვე ასაკოვანი ფეხბურთელის კარიერის დასასრულს? ასე შეიძლებოდა გვეფიქრა გარეგნულად, მაგრამ გამოჩენილი დანიელი ოსტატი მორტენ ოლსენი სულ სხვა შეხედულებისა იყო. როცა ამსტერდამის „აიაქსი" მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა და წამყვანი მოთამაშეების დიდმა ჯგუფმა დატოვა, აღარაფერი დარჩა იმ გუნდიდან, რომელიც, ყოველ შემთხვევაში 1996 წლამდე მსოფლიოში უძლიერესად ითვლებოდა. საჭირო იყო სრულიად ახალი კოლექტივის შექმნა, რომელშიც დიდი როლი ძმებ ლაუდრუპებს უნდა შეესრულებინათ. ბრაიანი თითქოს თანახმა იყო ჰოლანდიაში გადასულიყო, მაგრამ ბოლოს მაინც შეცვალა გადაწყვეტილება და ერთი წლით კვლავ „გლაზგო რეინჯერსში" დარჩა. მიქაელ ლაუდრუპს, რომლისთვისაც ფეხბურთში რაიმე საიდუმლოება არ არსებობს, გვერდით ისეთი მოთამაშე უნდა ჰყავდეს, რომელსაც ემარჯვება შეტევების დაგვირგვინება. ასეთი ადრე პატრიკ კლუივერტი იყო, მაგრამ საქმე ისე წაუვიდა, რომ „აიაქსში", ძალიანაც რომ ნდომებოდა, ვეღარ დარჩებოდა. ამიტომაც იყო, რომ მარტინ ოლსენმა, რომელსაც შოთა არველაძე მოეწონა, დაუყოვნებლივ მიიწვია იგი თავის განახლებულ (თუ სრულიად ახალ) კოლექტივში.

მაშ ასე, ჩამოყალიბდა ტანდემი: მიქაელ ლაუდრუპი — შოთა არველაძე! თვალყური ვადევნოთ მის მოქმედებას, წარმატება ვუსურვოთ სახელოვან „აიაქსს", დიდებულ „შპილმახერ" მიქაელ ლაუდრუპსა და ქართველ ხნაიპერს!

ბივი ბამრეკელი

კიდევ ერთი რომანტიკოსი...

მორტენ ოლსენი

მორტენ ოლსენის „აიაქსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნა ჟურნალისტებისათვის და გულშემატკივრებისთვისაც ძალიან მოულოდნელი გახლდათ. ეს ფაქტი ოფიციალურად შარშან წლის ბოლოს გამოცხადდა და უცხოეთის საინფორმაციო საშუალებებმაც არ დააყოვნეს რეაგირება ამ გარკვეულწილად სენსაციური მოვლენის მიმართ. საქმე კი ის იყო, რომ „აიაქსის" და სუპერკლუბებში ხელმოცარულ და არანაირი მიღწევების მქონე მწვრთნელებს, როგორც წესი, ახლოსაც არ აკარებენ. მაგრამ ამ შემთხვევაში ასეთი გამონაკლისი მაინც დაუშვეს, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს ამ ამსტერდამული კლუბის არაორდინარულობასა და ორიგინალობაზე.

„აიაქსში" მისვლამდე მორტენ ოლსენი სამი სეზონის განმავლობაში გერმანიის „კიოლნს" ედგა სათავეში. ბუნდესლიგის ეს პრესტიჟული კლუბი მაინც მაჩანჩალების სიაში იყო. თვით ოლსენი კი თავს იმით იმართლებდა, რომ „კიოლნის" ისეთი ღირსშესანიშნაობისა და გულშემატკივართა ნამდვილი კერპის — პიერ ლიტბარსკის ხეირიანი შემცვლელი ვერა და ვერ გამოინახაო. ოლსენმა ერთ დროს რეზო არველაძეც მიიწვია „კიოლნში", მაგრამ ლიტბარსკის ღირსეულ შემცვლელად არც ჩვენებური გამოდგა. 1995 წლის ბოლოს ოლსენი „კიოლნიდან" მიაბრძანეს და „აიაქსში" მისვლამდე უმუშევარიც გახლდათ.

ოლსენის, როგორც ფეხბურთელის კარიერაც მეტად არაორდინარული იყო, რადგან თავის პიკს მან მაშინ მიაღწია, როცა თითქმის ყველა სხვა ფეხბურთელი ბუცების განზე გადადებას აპირებს ხოლმე. ეს მოხდა 1984 წლის ევროპის ჩემპიონატზე საფრანგეთში, მაშინ მორტენი 35 წელს „უკაკუნებდა". დებიუტი ნაკრებში კი 1970 წელს ჰქონდა და ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მას (დანიისათვის) ეროვნულ გუნდში მატჩების სარეკორდო რაოდენობა აქვს ჩატარებული — 102, რაც შეეხება კლუბებს, ოლსენი თავდაპირველად ბელგიურ „სერკლში" და „მილენბეკში" თამაშობდა, ხოლოდ 80-იანი წლების დასაწყისში იმდროინდელი ევროპული გრანდის — ბელგიის „ანდერლეხტის" მაისურიც მოირგო, სადაც თავისი საფეხბურთო კარიერის საუკეთესო წლები გაატარა. ამის შემდეგ 1986-89 წლებში ის არანაკლები წარმატებით თამაშობდა „კიოლნში", რის მერეც დაასრულა, როგორც ფეხბურთელის, მოღვაწეობა.. მწვრთნელობას კი ოლსენმა 1990 წლიდან მიჰყო ხელი, როცა სათავეში ჩაუდგა „ბრონდბიუს" (დანია), ერთი წლის შემდეგ „ბრონდბიუმ" უეფას თასის ნახევარფინალამდეც მიაღწია, თანაც გზიდან ისეთი გუნდები ჩამოიცილა, როგორიც „ლევერკუზენი" და „აინტრახტია": ასეთმა ნაყოფიერმა მუშაობამ კვლავ მიიქცია „კიოლნის" ხელმძღვანელთა ყურადღება, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მან გერმანელთა ოპტიმიზმს ცივი წყალი გადაასხა.

მორტენ ოლსენი ახლაც ძალიან რთული ამოცანის წინაშე დგას, რადგან „აიაქსი" მთელმა რიგმა წამყვანმა მოთამაშეებმა დატოვეს და ფაქტიურად ახალი გუნდი ჰყავს ჩამოსაყალიბებელი. თანაც, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამჯერად ოლსენი პიერ ლიტბარსკის მაგალითის დარად, აღარ დაიწყებს წუწუნს, პატრიკ კლუივერტის სრულფასოვანი შემცვლელი არ მყავსო — შოთა არველაძე ალბათ ამის თქმის უფლებას არ მისცემს მას.-

თვით ოლსენმა კი დამდეგი სეზონისთვის საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე თავისი საფეხბურთო კონცეფცია შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „გუნდის თამაში არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდ შედეგზე. ბოლო წლებში ფეხბურთი მკვეთრად შეიცვალა, მაგრამ არა უკეთესობისკენ, რადგან ძალიან ბევრი მწვრთნელი ქადაგებს შებოჭილ, ნაკლებშემოქმედებით თამაშის სტილს. ფეხბურთის უმთავრესი დანიშნულება კი, ჩემი აზრით, გულშემატკივრებისთვის სიამოვნების მინიჭებაა, ლამაზი კომბინაციებითა და გამარჯვებისაკენ სწრაფვით. 80-იანი წლების დანიის ნაკრებს, რომელშიც ვთამაშობდი, არ მოუგია ევროპის ან მსოფლიო ჩემპიონატი, მაგრამ ის ლეგენდარული გუნდი დღესაც ყველას პირზე აკერია. „აიაქსის" თამაშის მანერა ძალიან ჰგავს იმდროინდელი დანიის ნაკრებისას. განსხვავება კი იმაშია, რომ ზეპ პიონტეკის საპირისპიროდ ვან გაალმა რეალური შედეგების მიღწევაც შეძლო.

მინდა ვიმუშაო გუნდში, რომელიც სწორ სათამაშო ფილოსოფიას ქადაგებს. სწორედ ამიტომ დავთანხმდი „აიაქსის" კონტრაქტზე ხელის მოწერას".

დათო თავართქილაძე

ჭადრაკის სამყაროში

ისე რომ, რჩება მხოლოდ კარპოვი

ზოგს შეიძლება გაუკვირდეს კიდეც – კარპოვი ამ ბოლო ხანს საკმაოდ მარცხიანად თამაშობს, მაგრამ მისი შესაძლებლობები, მატჩში შეხვდეს გარი კასპაროვს... იზრდება!

რაშია საქმე?

საქმე ის არის, რომ კასპაროვმა თავისი წოდება უნდა დაიცვას. ზოგი მის ყველაზე ღირსეულ მეტოქედ ასახელებს ვლადიმირ კრამნიკს, რომელიც მართლაც ბრწყინვალედ თამაშობს, ზოგი ვიში ანანდს, ზოგიც, ვთქვათ, ვესელინ ტოპალოვს. მაგრამ ლაპარაკია არა თამაშზე, არამედ, იურიდიულ უფლებებზე. პრეტენდენტებს შორის ხომ არავითარი შესარჩევი შეჯიბრება არ ჩატარებულა, სუპერტურნირებს კი ხან ერთი იგებს და ხან მეორე...

ისე რომ, გარი კასპაროვის მხოლოდ ერთი მეტოქე რჩება – ანატოლი კარპოვი, მსოფლიო ჩემპიონი ფიდეს ვერსიით.

ახლა კი რამდენიმე ნაწყვეტი კარპოვის ერთ-ერთი ინტერვიუდან.

● ***შედგება თუ არა თქვენი ახალი შეხვედრა კასპაროვთან?***

– ჩვენ არ ვიცით, ეს მატჩი ფიდეს წოდებისათვის შედგება თუ სხვა რომელიმე ორგანიზაციისა. ყოველი შემთხვევისათვის, ეს ჩვენთვის სასურველი არ არის.

● ***რაშია პრობლემა?***

– საჭიროა სპონსორის მონახვა, რომელიც საპრიზო ფონდს, მინიმუმ, სამი მილიონი დოლარის ოდენობით დააწესებს.

● ***როგორია ამჟამად თქვენი ურთიერთობა კასპაროვთან?***

– ოფიციალურად ეს ურთიერთობა... დიპლომატიურია.

● ***არაოფიციალურად?***

– არაოფიციალურად, არავითარი ურთიერთობა არა გვაქვს.

● ***თქვენ ორივენი მოსკოვში ცხოვრობთ. სადმე ქუჩაში რომ შეხვდეთ ერთმანეთს?***

– სასაცილო რამეს გეტყვით. კასპაროვი მოსკოვში 6 წლის წინათ ჩამოვიდა და თუმცა საქმე უზარმაზარ ქალაქს ეხება 8 მილიონიანი მცხოვრებით, სახლი იყიდა სწორედ პირდაპირ იქ, სადაც დედაჩემი ცხოვრობს.

● ***ერთ ინტერვიუში თქვენ თქვით, რომ „გორბაჩოვმა საკუთარი თავი დაამშამათა“. ელცინის მოქმედებას რაიმე კომენტარს ხომ არ გაუკეთებდით?***

– მე ვიტყოდი, რომ ელცინი უფრო მოქნილია, თევზივითაა. საჭადრაკო დაფაზე უფრო ეფექტურად მოქმედებს.

● ***თქვენ აქტიურად ხართ პოლიტიკაში ჩართული?***

– არ ვიტყოდი, რომ აქტიურად, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკაში მაინც ჩართული ვარ. უპირველეს ყოვლისა, რუსეთს ეკონომიკური წესრიგი სჭირდება. მზად ვარ მხარი დავუჭირო ადამიანს, რომელიც ამას დაამყარებს.

● ***ვინ არის იგი?***

– ახლა ელცინია. ძალიან კარგი იქნება, თუ მას მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი შეცვლის. იგი ნაკლებად არის პოლიტიკოსი, უფრო მეტად კი – ხელმძღვანელი.

● ***მიიღებდით მონაწილეობას რაიმე არჩევნებში ლუჟკოვის დროს?***

– შეიძლება მიმელო.

● ***ვინ იქნება მსოფლიოს მორიგი ჩემპიონი?***

– მე კარგად ვთამაშობ და არავის ვუფრთხი. თუ ცუდად ვითამაშებ და წავაგებ, ჩემთვის სულ ერთი იქნება, ვინ იქნება მსოფლიო ჩემპიონი.

1 იანვრამდე...

როგორია საქართველოს მოჭადრაკეთა რეიტინგი 1998 წლის 1 იანვრამდე?

პირველ ადგილზე კვლავინდებურად დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილია, რომელმაც იანვრიდან მოყოლებული 26 პარტია ითამაშა და ახლა 2645 პუნქტი აქვს. ამით იგი მნიშვნელოვნად უსწრებს ყველა დანარჩენ ქართველ დიდოსტატს და ინარჩუნებს ადგილს მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეების პირველ ოცდაათეულში. გასაგებია, ზურაბისათვის უდიდესი მნიშვნელობა ექნება მონაწილეობას მსოფლიოს პირველ ჩემპიონატში „ნოკაუტ-სისტემით“, რომელიც გაარკვევს, როგორია მისი ძალების თანაფარდობა თანამედროვე ჭადრაკის კორიფეებთან.

დიდოსტატი გია გიორგაძე, რომელმაც ნახევარ წელიწადში 50 პარტია ითამაშა, ინარჩუნებს მეორე პოზიციას (2625). გიასათვის, გასაგებია, ასევე პრინციპული მნიშვნელობა ექნება მონაწილეობას მსოფლიო ჩემპიონატში.

მაშ ასე, აზმაიფარაშვილი და გიორგაძე...

წლევანდელი წელი ძალიან იღბლიანი გამოდგა დიდოსტატ ზურაბ სტურუასათვის (2585), რომელმაც მოიგო რამდენიმე ტურნირი შვეიცარიული სისტემით და კვლავ შევიდა თანამედროვეობის უძლიერესი მოჭადრაკეების პირველ ასეულში.

მეოთხეა ახალგაზრდა საერთაშორისო ოსტატი გიორგი ყაჭეიშვილი (2550), მეხუთე – დიდოსტატი გენადი ზაიჩიკი (2540).

მომდევნო ადგილები ქალებს, მსოფლიო ჩემპიონობის რეალურ პრეტენდენტებს მაია ჩიბურდანიძესა (2525) და ნანა იოსელიანს (2520) უკავიათ. მათთვის ახლა მთავარია წარმატებით მონაწილეობა 10 პრეტენდენტის მატჩ-ტურნირში, რომელიც, მართალია, ჯერ დანიშნული არ არის, მაგრამ სექტემბრის დასაწყისში ამ საკითხს ფიდეს კონგრესი აუცილებლად გადაწყვეტს. არის წინადადება ვენესუელის საჭადრაკო ფედერაციისაგან, არის სხვა ვარიანტებიც...

2520 პუნქტით სიაში მერვეა ამჟამად ესპანეთში მცხოვრები დიდოსტატი ელიზბარ უბილავა, რომელიც ბოლო წლებში ცოტას თამაშობს და მეტ დროს მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტ ვიშვანათან ანანდის წვრთნას ანდომებს.

აი კიდევ რამდენიმე ქართველი მოჭადრაკის მონაცემები: 9. საერთაშორისო ოსტატი დავით ლობჟანიძე – 2515. 10. დიდოსტატი თამაზ გიორგაძე (რომელიც კარგა ხანია შეჯიბრებებში აღარ მონაწილეობს, მაგრამ აპირებს ასპარეზზე დაბრუნებას) – 2515. 11. დიდოსტატი ლაშა ჯანჯღავა – 2495. 12. საერთაშორისო ოსტატი გიორგი ბაღათუროვი – 2485. 13. საერთაშორისო ოსტატი ხვიჩა სუპატაშვილი (ამჟამად ნაყოფიერად მოღვაწეობს, როგორც მაია ჩიბურდანიძის მწვრთნელი) – 2480. 14. საერთაშორისო ოსტატი სანდრო დგებუაძე – 2465. 15. დიდოსტატი ედუარდ გუფელდი (იგი კვლავ საქართველოს წარმომადგენლად ითვლება, თუმცა კარგა ხანია ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს) – 2460. 16. ეროვნული ოსტატი თამაზ გელაშვილი – 2440. 17. დიდოსტატი ქეთევან არახამია – გრანტი (ახლა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირისათვის ემზადება) – 2430 და ა.შ.

დიდოსტატ ნინო ხურციძეს ამ საკმაოდ გრძელ სიაში 23-ე ადგილი უკავია (2415), დიდოსტატ ნინო გურიელს – 27-ე (2370), დიდოსტატ ნონა გაფრინდაშვილს – 31-ე (2355), დიდოსტატ მაია ლომინეიშვილს – 34-ე (2350), საერთაშორისო ოსტატ ნატო ეძგვერაძეს – 39-ე (2340), დიდოსტატ ბუხუტი გურგენიძეს – 47-ე (2310), დიდოსტატ ნანა ალექსანდრიას – 56-ე (2295).

პარლამენტმა სპორტსმენსაც დაადო ბეგარა

საბონისმა კი ამ კანონს სულელური უწოდა

როგორც ცნობილია, არაერთი გამოჩენილი ლიტველი სპორტსმენი ახლა საზღვარგარეთ გამოდის. მათგან ზოგს დიდი შემოსავალი აქვს. ეს კი პირველ რიგში კალათბურთის ვარსკვლავებზე არვიდას საბონისზე, რიმას კურტინაიტისზე, არტურას კარბიშობასსა და შარუნას მარჩიულენისზე ითქმის და აი, ლიტვის პარლამენტის მიერ მიღებული კანონის შესაბამისად, მათ წინადადება მიეცათ აღნიშნონ თავიანთი შემოსავლი, მოყოლებული 1996 წლის 1 თებერვლიდან, მოახდინონ მათი რეგისტრაცია ლიტვის საგადასახადო ინსპექციაში და გადაიხადონ მისი 20 პროცენტი.

საბონისმა ამის საპასუხოდ განაცხადა, რომ ლიტვაში დაბრუნების შემდეგ სურვილი ექნებოდა ესაუბრა პარლამენტარებთან, ვინც ასეთი კანონი მიიღო. „მე ამ სულელური კანონის მიმღებებს ქრთამი უნდა მივცე“ – იხუმრა საბონისმა და თქვა, რომ ამ თანხის 50 პროცენტს, რომელსაც კონტრაქტის მიხედვით იღებს, აშშ-ს საგადასახადო ორგანოს უხდის, ახლა 20 პროცენტს ლიტვა მოითხოვს. ლიტვის გაზეთების ცნობით, მან ქვეყნის ბიუჯეტში უნდა შეიტანოს 2,4 მილიონი ლიტი (დაახლ. 600 ათასი დოლარი), მარჩიულენისმა – 1,8 მილიონი ლიტი, ხოლო კარბიშობასმა – 0,8 მილ.

რიმას კურტინაიტისმა, რომელიც მალე ლიტვის მთავრობაში ფიზკულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დირექტორის პოსტის დაკავებას აპირებს, განაცხადა, რომ თუ ეს კანონი არ გაუქმდა, ბევრი სპორტსმენი ლიტვის ნაკრებში აღარ გამოვა და ქვეყნის მოქალაქეობაზეც აიღებს ხელს.

იუმორი



უსიტყვოდ...

ნაირ-ნაირი

შემკვეთს ჩოგანი – სუვენირი 40 ათასი დოლარი დაუჯდა

ნიუიორკელი იუველირი პიერ უერონსი სიხარულით ცას ეწია, როცა ერთ მშვენიერ დღეს მის სახელოსნოს ცნობილი მსახიობი ბრუკ შილდსი ეწვია. მაგრამ ოსტატს თურმე მეორე უფრო დიდი სიხარული ელოდა – კლიენტმა მას შეუკვეთა ოქრო-ვერცხლისაგან და ბრილიანტებით მოოჭვილი ჩოგნის დამზადება. ეს ქალბატონი ანდრე აგასის ცოლი გახლდათ და შეკვეთაში 40 ათასი დოლარი გადაიხადა.

ან ფეხბურთი, ან ოპერა?

ასეთი ალტერნატივის წინაშე არაერთი ფეხბურთელი დამდგარა. თვით ლუჩიანო პავაროტი იტალიური „მოდენას“ ჩინებული თავდამსხმელი იყო. მწვრთნელი ემუდარებოდა ლუჩიანოს არ ჩაეკლა საკუთარ თავში ფეხბურთის ნიჭი, მაგრამ ჯერ კიდევ ჭაბუკი პავაროტი ფეხბურთელის ფეხებმა ოპერაში მიიყვანა. იგივე არჩევანი გააკეთა ინგლისელმა როი დუაიტმა, აგრეთვე ლეგენდარულმა როკ მომღერალმა, შოტლანდიელმა როდ სტიუარტმა. და აქვე გავიხსენოთ ჩვენებიც – ზურაბ სოტკილავა და ზურაბ რცხილაძე.

5

8



15

19

2

კროსვორდი



თარაზულად: 5. ქართველი მოფარიკავე *(ფოტო),* 6. სლოვენიის ფეხბურთელთა ნაკრების ბომბარდირი, 8. ბრაზილიელი ფეხბურთელი *(ფოტო),* 12. 60-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი ქალი, 13. ცნობილი ნორვეგიელი მოთხილამურე, 14. ტერმინი ნარდში. 15. ქართველი ხელბურთელი *(ფოტო),* 16. უელსელი საფეხბურთო მწვრთნელი, 17. მსოფლიოს ოლიმპიური მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანო, 19. ინგლისელი ფეხბურთელი *(ფოტო),* 20. საქართველოსა და შვეიცარიის საფეხბურთო კლუბი, 21. „ოქროს ბუცის“ მფლობელი ფეხბურთელი, 23. სახელგანთქმული კანადელი ჰოკეისტი, 25. ცნობილი ამერიკელი დიდოსტატი.

შვეულად: 1. საჭადრაკო ტერმინი, 2. ქართველი ძიუდოისტი *(ფოტო),* 3. 60-70-იანი წლების ცნობილი პოლონელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 4. საერთაშორისო სტუდენტური სპორტის მმართველი ორგანო, 7. 80-იანი წლების ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 9. ქართველი ფეხბურთელი, ავსტრიელი ლეგიონერი. 10. ესპანელი ფეხბურთელი, ევროპის თასის მფლობელი, 11. საქართველოს მძლეოსან ქალთა ნაკრების წევრი 50-იან წლებში, 17. „ბოავიშტას“ ფეხბურთელი, 18. ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონი გუნდი, 22. ბილიარდში მეტოქისათვის უპირატესობის შეგნებულად მიცემა, 24. ესპანელი ჩოგბურთელი ვაჟი.

შეადგინა **ჯემალ ვაზისუბნელმა**

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 2. ატლანტა, 4. ოკოჩა, 7. „ოსერი“, 10. კროლი, 12. რიდლე, 16. ონეგა, 18. ბადრო, 19. მენოტი, 20. ფანხიო, 21. მესეი, 23. ალეზი, 25. იპონი, 28. ჰოკეი, 30. იებოა, 33. ილინი, 35. ილგნერი.

შვეულად: 1. კანოე, 4. ოტერო, 5. აგასი, 6. ბელოვი, 9. ორლანდო, 11. ალბერტი, 12. რურუა, 13. ედერი, 14. ფეოლა, 15. დუნგა, 16. ონილი, 17. ათენი, 22. მაკაბი, 30. ისარი, 31. „არისი“, 32. „სიონი“.

დიაგონალურად: 9-2. ოლიმპიადა, 12-4. რიველინო, 13-7. ენდო, 3-11. არგენტინა, 5-17. ასპრილია, 8-16. იერო, 27-35. ოვერმარსი, 23-33 ალიოხინი, 24-30. ინსი, 31-25. აუზი, 34-26 იაკუშინი, 36-29. „იუვენტუსი“.

საჭადრაკო ამოცანა

ა. ვარიცკი (რუსეთი)



შამათი 4 სვლაში

„ლელოს“ 59-ე ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ლg2! 2. ლ:e4X.
1. ...მფc4 2. ლa2X.
1. ...კd3 2. ე:d3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდამონიძე